დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი

ულტრამემარჯვენე ჯგუფების ონლაინ დისკურსი და პოლიტიკური ტრანსფორმაცია საქართველოში

2023

ანგარიში მოამზადა დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტმა პროექტის „2024 წლის საპარლამენტო არჩევნების ფონზე ულტრამემარჯვენე ჯგუფების გზავნილების პრევენცია საქართველოში“ ფარგლებში. პროექტის განხორციელდა Black Sea Trust-ის ფინანსური მხარდაჭერით. პუბლიკაციაში ასახული პოზიციები და შეხედულებები ეკუთვნის პროექტის გუნდს და არ უნდა მოხდეს მისი აღქმა დონორის ოფიციალურ მოსაზრებად.

© დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი

სარჩევი

შესავალი 2

მეთოდოლოგიური ჩარჩო 4

1. ულტრამემარჯვენე ჯგუფებისა და „ქართული ოცნების“ ორკესტრირებული დისკურსი .. 5

1.1. რუსეთთან პირდაპირი ავიარეისი - პროკრემლისტურ ფოკუსში 5

1.2. პოლიტიზებული ჰომოფობია 7

1.3. რუსული აგენტურის კვალი ქართულ პოლიტიკაში 8

2. ულტრამემარჯვენე ჯგუფების ანტიდასავლური და ანტიამერიკული ნარატივები 9

2.1. ანტიდასავლური გზავნილების დროში ტრანსფორმაცია კანდიდატი ქვეყნის სტატუსის მონიჭების კვალდაკვალ 9

2.2. სუს-ის განცხადებებმა „კონსერვატიული მოძრაობა/ალტ-ინფოს“ ანტიდასავლური რიტორიკა გაამყარა 12

2.3. ულტრამემარჯვენე ჯგუფების ანტიამერიკული რიტორიკა ისრაელ-ჰამასის სამხედრო კონფლიქტის ფონზე 15

3. ულტრამემარჯვენე ჯგუფების საპროტესტო აქციების ანოტაციები 16

4. „კონსერვატიული მოძრაობა/ალტ-ინფოს“ ფინანსების მონიტორინგის შედეგები 17

4.1. „კონსერვატიული მოძრაობა/ალტ-ინფოს“ შემოწირულებები 17

4.2. რამდენი შემომწირველი ჰყავს „კონსერვატიულ მოძრაობა/ალტ-ინფოს“? 19

4.3. არის თუ არა კონსტანტინე მორგოშია „კონსერვატიული მოძრაობა/ალტ-ინფოს“ მთავარი დამფინანსებელი? 20

4.4 ვინ არიან „კონსერვატიული მოძრაობა/ალტ-ინფოს“ ყველაზე მსხვილი და ხშირი შემომწირველები? 21

4.5. „კონსერვატიული მოძრაობა/ალტ-ინფოს“ რეგიონული აქტივობები 22

ძირითადი მიგნებები 23

რეკომენდაციები 23

დანართი #1. საქართველოში არსებული ულტრამემარჯვენე აქტორების ანოტაციები 24

„საქართველოს ეროვნული ერთობა“ 24

„ქართული იდეა“ 27

„კონსერვატიული მოძრაობა/ალტ-ინფო“ 29

შესავალი

საქართველოში ულტრამემარჯვენე ჯგუფებს პოლიტიკურ დღის წესრიგზე ზემოქმედების მზარდი პოტენციალი აქვთ. ისინი საკუთარი დეზინფორმაციული და მადისკრედიტირებელი ნარატივების გასავრცელებლად იყენებენ როგორც დომინანტურ მედიასაშუალებებს, ასევე, აქტიურად პოზიციონირებენ სოციალურ ქსელებსა და ონლაინ მედია პლატფორმებზე. ეს ჯგუფები საზოგადოებრივი დისკურსის ჩამოსაყალიბებლად წინასაარჩევნო პერიოდში ცდილობენ შექმნან დაძაბული საინფორმაციო ველი და მოახდინონ ეფექტური ლავირება პოლარიზებულ პოლიტიკურ სივრცეში. იმის გათვალისწინებით, რომ ულტრამემარჯვენე ძალები ღიად აცხადებენ ხელისუფლებაში მოსვლის ამბიციას, მოახლოებული 2024 წლის საპარლამენტო არჩევნების ფონზე განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს მათი სამოქმედო დღის წესრიგის, რიტორიკისა და ძირითადი ნარატივების ანალიზი.

ულტრამემარჯვენე ნარატივების ჩამოყალიბებისა და განვითარების ტენდენციების შეს-წავლის მიზნით, დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი 2019 წლიდან აკვირდება ამ ჯგუფებისა და მათი ლიდერების აქტიურობას სოციალურ ქსელებში, ონლაინ მედიასა და სხვა საინფორმაციო პლატფორმებზე. ასევე, დაკვირვებას აწარმოებს მათ მიერ ორგანიზებულ საპროტესტო აქციებზე და შეისწავლის მათი დაფინანსების ძირითად წყაროებს.

წინამდებარე ანგარიშში დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი ულტრამემარჯვენე ჯგუფების საქმიანობაზე დაკვირვების რვათვიან პერიოდს (2023 წლის მაისი-დეკემბერი) აჯამებს, სოციალურ ქსელებში და ონლაინ მედიაში გავრცელებული პროპაგანდისტული შინაარსის 1468 შემთხვევის ანალიზზე დაყრდნობით; ანგარიშში ასევე აღწერილია ის პოლიტიკური დაჯგუფებები, რომლებიც ულტრამემარჯვენე ფლანგზე ყველაზე მეტად აქტიურობენ და პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის ამბიცია აქვთ. დოკუმენტში აღწერილია ულტრა-მემარჯვენე ჯგუფების შეკრება-მანიფესტაციებზე დაკვირვების პროცესში გამოვლენილი ტენდენციები და ძირითადი მიგნებებიც. ჩვენი ინტერესის საგანს ასევე, წარმოადგენდა ულტრამემარჯვენე „კონსერვატიული მოძრაობა/ალტ-ინფოს“ დაფინანსების წყაროები და ფინანსური შემოსავლების დინამიკა.

საანგარიშო პერიოდში გამოიკვეთა, რომ ცალკეულ შემთხვევებში, „ქართული ოცნებისა“ და ღიად პრორუსული ულტრამემარჯვენე დაჯგუფების ლიდერებს ევროსკეპტიციზმსა და ჰომოფობიასთან დაკავშირებით იდენტური გზავნილები ჰქონდათ - ორივე პოლიტიკური ძალის წარმომადგენლები პრორუსული განწყობების ფონზე ცდილობდნენ ევროსკეპტიციზ-მის გაღვივებას და ჰომოფობიის პოლიტიკურ ინსტრუმენტალიზაციას. ხელისუფლებისა და ულტრამემარჯვენე ჯგუფების ორკესტრირებული რიტორიკა განსაკუთრებით შესამჩნევი გახდა აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ, რუსეთის სასარგებლოდ საქმიანობის გამო, საქართველოს ყოფილი გენერალური პროკურორი ოთარ ფარცხალაძისთვის სანქციების დაწესების შემდეგ. ძალადობრივი ჯგუფების და ხელისუფლების ანტიდასავლურ რიტორიკა ფაქტობრივად იდენტური იყო ოქტომბერში, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის განცხადების ფონზე, რომლის თანახმადაც, USAID-ის მხარდაჭერილ ღონისძიებაზე „ხელის-უფლების ძალადობრივი გზით დამხობის პროცესების“ მოსამზადებელი სამუშაოები მიმდინარეობდა.

საანგარიშო პერიოდი პოლიტიკურ ველზე ულტრამემარჯვენე იდეოლოგიის მქონე პოლიტიკ-ური ჯგუფების განსაკუთრებული აქტიურობით გამოირჩეოდა:

- 2023 წელს ცნობილი გახდა, რომ ნეოფაშისტმა გიორგი ჭელიძემ დააფუძნა ჯგუფი „საქართველოს ეროვნული ერთობა“ და 2024 წლის არჩევნებში მონაწილეობაც დააანონსა.

- მნიშვნელოვნად გააფართოვა სამოქმედო არეალი ძალადობრივმა პოლიტიკურმა დაჯგუფებამ „კონსერვატიულმა მოძრაობა/ალტ-ინფომ“ და მხარდამჭერთა მობილიზების მიზნით, საქართველოს რეგიონებში წინასაარჩევნო შეხვედრები დაიწყო. სექტემბერში „ალტ-ინფომ“ საქართველოში გადატრიალების მცდელობის საწინააღმდეგოდ, „თანამო-

აზრეთა ძალების“ მობილიზაციის აუცილებლობაზე აპელირებით დააფუძნა ძალადობრივი მოძრაობა „ანტიმაიდანი“. მიუხედავად ამისა, დაჯგუფების საჯაროდ დეკლარირებული ფინანსური რესურსი მკვეთრად შემცირებულია.

საანგარიშო პერიოდში ჩატარებული მონიტორინგის შედეგად, ულტრამემარჯვენე დაჯგუფებების დისკურსში სამი ძირითადი მიმართულება გამოიკვეთა, რომელთა გარშემოც ინტერაქცია ყველაზე მაღალი იყო:

1. ჰომოფობიური რიტორიკა, რომელიც 17 მაისის მოახლოების პარალელურად გააქტიურდა და კულმინაციას მიაღწია 2023 წლის 8 ივლისს, „თბილისი პრაიდის“ მიერ დაანონსებული ფესტივალის ჩაშლით. დაკვირვებამ გამოააშკარავა ხელისუფლების ლოიალური პოლიტიკა ულტრამემარჯვენე ძალადობრივი ჯგუფების მიმართ. გასული წლების მსგავსად, ულტრამემარჯვენე ჯგუფების ჰომოფობიური რიტორიკა ანტიდასავლურ დისკურსს ერწყმოდა და გაჯერებული იყო ეროვნული და რელიგიური სენტიმენტებით.

2. პროკრემლისტური რიტორიკა, რომელმაც დროთა განმავლობაში ქვეყანაში არსებული პოლიტიკური თუ სოციალური მოვლენების კვალდაკვალ განიცადა ტრანსფორმაცია. საწყის ეტაპზე, ულტრამემარჯვენე ჯგუფების პრორუსული რიტორიკა მიმართული იყო რუსეთის ფედერაციის მხრიდან საქართველოს მოქალაქეებისთვის დაწესებული სავიზო რეჟიმის გაუქმებისა და პირდაპირი საჰაერო მიმოსვლის განახლების საკითხებზე. ულტრამემარჯვენე ჯგუფები ეკონომიკური სარგებლის მოტივით ცდილობდნენ რუსეთთან მჭიდრო კომუნიკაციის მნიშვნელობის ხაზგასმას. სექტემბრიდან რეზონანსულ საკითხად აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ რუსეთის სასარგებლოდ საქმიანობაში მხილებული საქართველოს ყოფილი გენერალური პროკურორის ოთარ ფირცხალაძის დაცვა იქცა.

3. ანტიდასავლური და ანტიამერიკული რიტორიკა განსაკუთრებით გააქტიურდა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის იმ განცხადების შემდეგ, რომელიც შესაძლო დესტაბილიზაციასა და სამოქალაქო არეულობის დაგეგმვაში USAID-ის როლზე მიუთითებდა. ოქტომბერში ისრაელზე ჰამასის თავდასხმის შემდეგ განახლებულმა სამხედრო კონფლიქტმა ღიად პრორუსული ულტრამემარჯვენე ჯგუფების ანტიამერიკულ რიტორიკას ახალი იმპულსი შესძინა.

ულტრამემარჯვენე ჯგუფების აგრესიული ანტიდასავლური კამპანია მიმდინარეობდა საქართველოსთვის ევროკავშირის წევრი ქვეყნის კანდიდატის სტატუსის მინიჭების პროცესის კვალდაკვალ. საწყის ეტაპზე, ძალადობრივი ჯგუფების წარმომადგენლები საზოგადოებაში ევროსკეპტიციზმის დანერგვას ცდილობდნენ და დაბეჯითებით აცხადებდნენ, რომ ევროკავშირი საქართველოს კანდიდატის სტატუსს არ მიანიჭებდა. დეკემბრიდან კი, რაც ცნობილი გახდა ევროპული საბჭოს გადაწყვეტილება საქართველოსთვის კანდიდატი ქვეყნის სტატუსის მინიჭების თაობაზე, ულტრამემარჯვენე ჯგუფებმა აგრესიული ანტიდასავლური კამპანია წამოიწყეს, რომელიც ევროკავშირის დროშების მასობრივ განადგურებაში გამოიხატა. „ალტ-ინფოს“ აქტივისტის ლაშა შარუხიას დაკავებას, რომელმაც მცხეთის გამგეობის შენობაზე აღმართული ევროკავშირის დროშა დაწვა, ძალადობრივი ჯგუფების აგრესიული კამპანია „დაწვი ევროკავშირის დროშა“ მოჰყვა. „კონსერვატიული მოძრაობა/ალტ-ინფოს“ ლიდერები და წევრები ევროკავშირის დროშებს დემონსტრაციულად წვავენ, ვიდეოს იღებენ და სოციალურ ქსელში ავრცელებენ. ლაშა შარუხიას სასამართლო სხდომა 2024 წლის 5 თებერვალს არის დანიშნული.

მეთოდოლოგიური ჩარჩო

ანგარიშის მედიამონიტორინგის ნაწილი ეფუძნება შინაარსობრივი ანალიზის მეთოდს და მასში ასახულია 2023 წლის მაისიდან დეკემბრის ჩათვლით ულტრამემარჯვენე პოლიტიკური სუბიექტების, ჯგუფებისა და მედია პლატფორმების აქტივობები, მანიპულაციური კონტექსტი, ტენდენციები და დისკურსი სოციალურ ქსელებსა და ონლაინ მედიაში. მედიამონიტორინგის პირველი თავი ეთმობა ულტრამემარჯვენე ჯგუფების პროკრემლისტურ რიტორიკას და მიმოიხილავს ხელისუფლებასთან უნისონში წარმოებულ პოლიტიკური ჰომოფობიის დისკურსს. მესამე თავში აღწერილია ძალადობრივი ჯგუფების დროში ტრანსფორმირებული ანტიდასავლური კამპანია და ძირითადი ნარატივები.

მედიამონიტორინგის პროცესში დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტმა გააანალიზა ულტრა-მემარჯვენე პოლიტიკური დაჯგუფებების და მათი ლიდერების ძირითადი პოლიტიკური ნარატივები. ანგარიშში აღწერილია „ქართული იდეის“ და „კონსერვატიული მოძრაობა/ალტ-ინფოს“, ასევე, ნეოფაშისტური ორგანიზაცია „საქართველოს ეროვნული ერთობისა“ და ღიად ულტრამემარჯვენე ჯგუფების „ბავშვთა უფლებების დაცვის ორგანიზაციის“, „საქართველო უპირველეს ყოვლისა“ და „ქართული მისიის“ ოფიციალურ და მხარდამჭერთა გვერდებზე გააქტიურებული დეზინფორმაციული, მადისკრედიტირებელი და სიძულვილის ენის შემცველი გზავნილები. დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტის საკვლევ ობიექტებს შორის იყო ღიად პროკრემლისტური და ანტიდასავლური განწყობების მქონე მედია პლატფორმები: „ალტ-ინფო“ და „სეზონი TV“. გარდა ამისა, ანგარიშში გაანალიზებულია ის ონლაინ სივრცე და მედია კონტენტიც, სადაც ყველაზე აქტიურად მიმდინარეობდა ულტრამემარჯვენე ძალების სამოქმედო დღის წესრიგისა და პოსტულატების ჩამოყალიბება-გავრცელება. მანიპულაციური და პოპულისტური ნარატივების გავრცელების სიხშირე და არეალი ხარისხობრივად ფეისბუქის ანალიტიკური ხელსაწყო CrowdTangle-ს გამოყენებით შევისწავლეთ.

მონიტორინგის ფარგლებში საინფორმაციო მასალის რაოდენობრივი და შინაარსობრივი ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ პოსტების 72%-ს შეადგენდა ტექსტური მასალა (სტატუსი, სტატია), 15%-ს ვიდეო კონტენტი (ლაივ ჩართვების ჩათვლით) და 15%-ს ფოტო მასალა.





ანგარიშის მეორე ნაწილში, რომელიც აღწერს ულტრამემარჯვენე ჯგუფების საპროტესტო აქცია/მანიფესტაციების ძირითად მიგნებებსა და ტენდენციებს, მონაცემთა ანალიზისთვის გამოყენებულია დამკვირვებლების ანგარიშები, რომელიც ეყრდნობა მშვიდობიანი შეკრების თავისუფლების შესახებ ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის (OSCE/ODIHR) სახელმძღვანელო პრინციპებს. საანგარიშო პერიოდში, დემოკრატიის

კვლევის ინსტიტუტი ულტრამემარჯვენე ჯგუფების ორ აქციას დააკვირდა. პროექტის მიზნებისა და ამოცანების გათვალისწინებით, შეკრება-მანიფესტაციების მონიტორინგის ფარგლებში ყურადღება გავამახვილეთ ორ ძირითად მიმართულებაზე:

- ხომ არ იყენებდნენ ულტრამემარჯვენე ჯგუფების ლიდერები ან შეკრების მონაწილეები სიძულვილის ენას.
- ხომ არ ჰქონდა ადგილი კონკრეტული პირების ან ჯგუფების მისამართით ძალადობრივ მოწოდებებს.

ანგარიშის მეოთხე ნაწილში აღწერილია „კონსერვატიული მოძრაობა/ალტ-ინფოს“ ფინანსური მონიტორინგის შედეგები და ძირითადი ტენდენციები. კერძოდ, მოცემულია საანგარიშო პერიოდში მათი დაფინანსების წყაროების/რაოდენობის დინამიკა და ძირითადი შემომწირველები. ფინანსური მონიტორინგის ნაწილში ასევე გაანალიზებულია ულტრამემარჯვენე მედია პლატფორმის „ალტ-ინფოს“ დაფინანსების ძირითადი წყაროები და მისი მფლობელების ფინანსური რესურსები. ანგარიშის დასკვნით ნაწილში კი შეჯამებულია საანგარიშო პერიოდში გამოკვეთილი ძირითადი მიგნებები და წარმოდგენილია შესაბამისი რეკომენდაციები.

1. ულტრამემარჯვენე ჯგუფებისა და „ქართული ოცნების“ ორკესტრირებული დისკურსი

საანგარიშო პერიოდში შესამჩნევ ტენდენციად გამოიკვეთა ულტრამემარჯვენე ჯგუფებისა და „ქართული ოცნების“ ორკესტრირებული კამპანია, რომელიც კონცენტრირებული იყო შემდეგ საკითხებზე: 1) რუსეთთან პირდაპირი ფრენების განახლება; 2) მტრული დამოკიდებულება უმცირესობების მიმართ და ჰომოფობია, როგორც კოლექტიური დასავლეთის „ნაკლოვანებების“ წარმოსაჩენი პოლიტიკური ინსტრუმენტი; 3) აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ რუსეთის სასარგებლოდ საქმიანობაში მხილებული საქართველოს ყოფილი გენერალური პროკურორის ოთარ ფირცხალაძის დაცვა და შესაბამისად, რუსული აგენტურის კვალის დაფარვა ქართულ პოლიტიკაში.

1.1. რუსეთთან პირდაპირი ავიარეისი – პროკრემლისტურ ფოკუსში

ვლადიმერ პუტინის 2023 წლის 10 მაისის განკარგულებით, საქართველოს მოქალაქეებისთვის სავიზო რეჟიმი გაუქმდა და საქართველო-რუსეთს შორის პირდაპირ ფრენებზე შეზღუდვა მოიხსნა. აღნიშნულ გადაწყვეტილებას აღტაცებით შეხვდნენ საქართველოში მოქმედი ღიად პრორუსული ულტრამემარჯვენე ჯგუფები. რუსეთთან მჭიდრო კომუნიკაციის მნიშვნელობის ხაზგასმა პრორუსული ძალადობრივი „კონსერვატიული მოძრაობა/ალტ-ინფოს“ პოლიტიკური სპეკულაციების მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია. „კონსერვატიული მოძრაობა/ალტ-ინფოს“ ლიდერებმა რუსეთის პრეზიდენტის გადაწყვეტილება პირად პოლიტიკურ დამსახურებად და მიღწევად მიითვალეს.

„კონსერვატიული მოძრაობა/ალტ ინფოს“ ლიდერმა კონსტანტინე მორგოშიამ 10 მაისს გამოქვეყნებულ ფეისბუქ პოსტში აღნიშნა: **„ეს არის ჩვენი შრომით და ერთობით მიღწეული გამარჯვება!“** მისი განცხადებით, „კონსერვატიულმა მოძრაობამ“ პოლიტიკური დაპირება შეასრულა: ხელი შეუწყო რუსეთთან უვიზო რეჟიმის გაუქმებას, პირდაპირი ფრენებისა და სავაჭრო ურთიერთობების აღდგენას.

პუტინის გადაწყვეტილება კონსერვატიული ძალების მიღწევად შეაფასა „კონსერვატიული მოძრაობა/ალტ-ინფოს“ თავმჯდომარემ გიორგი ქარდავამაც. 10 მაისს „ალტ-ინფოს“

გადაცემაში „ალტ-ანალიტიკა“ ქარდავამ განაცხადა: **„სწორედ [ჩვენი] დამსახურებით, რუსეთ-ში დაინახეს, რომ საქართველოსთან მიმართებით ყველაფერი დაკარგული არ არის და აქ არის ის ძალა, რომელიც ქვეყანას გამოიყვანს იმ კრიზისიდან, რომელსაც ლიბერალიზაცია იწვევს.“**

რუსეთთან აღდგენილი პირდაპირი რეისების პარალელურად, ულტრამემარჯვენე პრორუსული ჯგუფები შეეცადნენ საზოგადოებაში შეექმნათ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის ილუზორული იმედი რუსეთთან პირდაპირი დიალოგის შემთხვევაში. ირაკლი მარტინენკომ 19 მაისს გადაცემაში „ალტერნატიული ხედვა“ განაცხადა: **„თუ რუსეთთან საქართველო დაიწყებს კარგ ურთიერთობას, ტერიტორიულ მთლიანობას მოაგვარებს და რუსეთთან საერთოდ აღარაფერი პრობლემა აღარ გვექნება.“**

რუსეთის პრეზიდენტის განკარგულებას საქართველოსთან უვიზო რეჟიმის ამოქმედებასთან დაკავშირებით, პოზიტიურად გამოეხმაურნენ ხელისუფლების წარმომადგენლებიც. საგარეო საქმეთა მინისტრმა ილია დარჩიაშვილმა აღნიშნა: **„ჰუმანიტარული პრიზმიდან მოსკოვის გადაწყვეტილება ნებისმიერი პასუხისმგებლობიანი ხელისუფლებისთვის არის მისასალ-მებელი.“**

პარტია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე ირაკლი კობახიძე ეკონომიკურ სარგებლიანობაზე აპელირებით შეეცადა რუსეთის ხელისუფლების გადაწყვეტილება საქართველოსთვის სასიკეთოდ წარმოეჩინა: **„დღეს რაც ვიხილეთ, ეს არის სანქციის მოხსნა, ანუ გარკვეული სასჯელი იყო დაწესებული საქართველოს მოქალაქეებისთვის, მილიონამდე ადამიანის-თვის, რომელიც არის პოტენციური მოსარგებლე ამ საკითხით და საბოლოო ჯამში, დღეს ეს სანქცია მოიხსნა.“**

რუსეთთან პირდაპირი ფრენების აღდგენის პარალელურად, ოპოზიციური ძალებისა და სამოქალაქო აქტივისტების წინააღმდეგობა მოჰყვა ყვარელში რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის სერგეი ლავროვის ნათესავის ქორწილს, სადაც სტუმართა შორის იყო აშშ-ს, კანადის, უკრაინის, დიდი ბრიტანეთის, იაპონიისა და ავსტრალიის მიერ დასანქცირებული ლავროვის ქალიშვილი. ქორწილის სტუმრებისთვის დისკომფორტის შექმნის შემდეგ, აქტივისტთა დისკრედიტაციის კამპანია უნისონში აწარმოეს ულტრამემარჯვენე ძალებმა და „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ.

„კონსერვატიული მოძრაობა/ალტ-ინფოს“ ლიდერებმა საპროტესტო აქციებს „ქსენოფობია“ და „რადიკალური, ლიბერალური ძალების ანტირუსული ისტერია“ უწოდეს. „კონსერვატიული მოძრაობის“ ლიდერმა ირაკლი მორგოშიამ განაცხადა: „გარედან დაფინანსებული ძალების მისიაა, საქართველოში არეულობის მოწყობა და ყველანაირი ბერკეტის გამოყენება დესტრუქ-ციის მოსაწყობად.“ „კონსერვატიული მოძრაობის“ წევრმა ვანო ბიბილეიშვილმა კი აღნიშნა, რომ ყვარელში მიმდინარე საპროტესტო აქციები მართული იყო **„ულტრალიბერალური, რადიკალური ძალების“ მიერ, რომელთა ინტერესშია „ხელისუფლების ძალადობრივი გზით ცვლილება“.** მან პარალელი გაავლო „გავრილოვის ღამესთან“ და დასძინა, რომ ოპოზიციური ძალები ლავროვის ნათესავის ქორწილის შესახებ წინასწარ იყვნენ ინფორმირ-ებულები.

ულტრამემარჯვენე ჯგუფების მსგავსად, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ნათესავის ქორწილის ჩაშლა ქსენოფობიის გამოვლინებად და ქართულ კულტურასთან შეუთავსებელ მოვლენად შეაფასა „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ, რომელმაც სამოქალაქო პროტესტს **„ლიბერალურ-ფაშისტური კამპანია“** უწოდა.

1.2. პოლიტიზებული ჰომოფობია

საანგარიშო პერიოდში, ხელისუფლების რიტორიკაში მკაფიოდ გამოიკვეთა პოლიტიკური ჰომოფობიის ნიშნები, რომლის მთავარი მიზანიც მმართველი პოლიტიკური ძალის გარშემო კონსერვატიულად განწყობილი ამომრჩევლის მობილიზება შეიძლება ყოფილიყო. ხელ-ისუფლება ულტრამემარჯვენე ძალებთან უნისონში შეეცადა ტრადიციულ და რელიგიურ სენტიმენტებზე აპელირებით კოლექტიური დასავლეთის დისკრედიტაციას, სადაც ლგბტქ მოძრაობამ ადამიანის უფლებები და თანასწორობა სარწმუნო გახადა.

ჰომოფობიის პოლიტიკური ინსტრუმენტალიზაციის მკაფიო კონტურები კიდევ უფრო მკაფიო იყო „კონსერვატიული მოძრაობა/ალტ-ინფოს“ სამოქმედო დღის წესრიგში. საანგარიშო პერიოდში „კონსერვატიულმა მოძრაობა/ალტ-ინფომ“ საქართველოს პარლამენტს კანონ-პროექტთა პაკეტი წარუდგინა და ლგბტქ ადამიანების მანიფესტაციების შეზღუდვა მოითხოვა. აღნიშნული ინიციატივა რუსული გავლენითაა ნაკარნახევი - რუსული კანონმდებლობით „ლგბტ პროპაგანდა“ აკრძალულია.

საანგარიშო პერიოდში, ულტრამემარჯვენე ჯგუფების რიტორიკასთან სრულ თანხვედრაში იყო საქართველოს პრემიერ-მინისტრის ჰომოფობიური გზავნილები, რომელიც მან 2023 წლის 4 მაისს ბუდაპეშტში გამართულ კონსერვატიული პოლიტიკური მოქმედების კონფერენციაზე (CPAC) წარმოთქვა. კონფერენციაზე ირაკლი ღარიბაშვილმა აღნიშნა, რომ **„კონკრეტული ძალები, რომლებიც თავისუფლებას, სიმართლეს უპირისპირდებიან, საკუთარი მიზნების მიღწევას ტრადიციული, ოჯახური ფასეულობების ნგრევითა და ყალბი თავისუფლების თავს მოხვევით ცდილობენ - მაგალითად, ლგბტ პროპაგანდით, არასრულწლოვანი ბავშვებისათვის მშობლების გვერდის ავლით სქესის შეცვლის დაკანონების მცდელობით.“**

პრემიერის ჰომოფობიური რიტორიკა, რომელიც რელიგიურ და ეროვნულ სენტიმენტებს ეყრდნობა, ზუსტად იმეორებს ულტრამემარჯვენე ჯგუფების დღის წესრიგს. 30 აპრილს „ალტ-ინფოს“ გადაცემაში „დღის კომენტარი“ ულტრამემარჯვენე ჯგუფის „ბავშვთა უფლებების დაცვის საზოგადოების“ თავმჯდომარემ გურამ ფალავანდიშვილმა პრემიერის ვიზიტი უნ-გრეთში უმნიშვნელოვანეს მოვლენად შეაფასა და აღნიშნა, რომ: „იმის ფონზე, როდესაც მსოფლიო გაყოფილია პროსოდომისტურ და ანტისოდომისტურ ძალებად, ღარიბაშვილის ვიზიტი უნგრეთში ძალზედ მნიშვნელოვანია. იმედი მაქვს, რომ მას ეყოფა ძალა სიმართლის სათქმელად და დაგმობს ანტიდისკრიმინაციულ კანონს.“ პრემიერის ვიზიტი დადებითად შეაფასა „კონსერვატიული მოძრაობა/ალტ-ინფოს“ ლიდერმა ირაკლი მარტინენკომაც. თუმცა, 28 აპრილის გადაცემაში „ალტ-ანალიტიკა“ მარტინენკომ განაცხადა, რომ ამ ვიზიტს არსებითი მნიშვნელობა არ ექნება, თუ არ გადაიხედება ქვეყნის საგარეო [ევროპული] კურსი.

ულტრამემარჯვენე ჯგუფების ჰომოფობიური რიტორიკა განსაკუთრებით გააქტიურდა ივლის-ში, „თბილისი პრაიდის“ კვირეულის პარალელურად. პარტია „კონსერვატიული მოძრაობა/ ალტ-ინფოს“ ლიდერებმა ღიად განაცხადეს საკუთარი განზრახვის შესახებ, ჩაეშალათ „პრაიდ ფესტი“. მიუხედავად იმისა, რომ პრაიდის დასკვნით ღონისძიებამდე გაცილებით ადრე, შინაგან საქმეთა სამინისტრო ინფორმირებული იყო ულტრამემარჯვენე ჯგუფების ძალადობრივი განზრახვის შესახებ, სამინისტრომ არ უზრუნველყო ლგბტქ თემის კონსტიტ-უციით გარანტირებული შეკრების და გამოხატვის თავისუფლების დაცვა. 8 ივლისს ძალადობ-რივმა ჯგუფებმა მარტივად შეძლეს პოლიციის კორდონის გარღვევა და პრაიდ-ფესტივალის ჩაშლა. სამართალდამცავთა ჯეროვანი რეაგირება არ მოჰყოლია არც შემდგომ განვითარებულ მოვლენებს, როდესაც ძალადობრივი ჯგუფის წარმომადგენლებმა ფესტივალის კერძო ტერი-ტორიის დარბევა და ძარცვა დაიწყეს.

1.3. რუსული აგენტურის კვალი ქართულ პოლიტიკაში

სექტემბერში ულტრამემარჯვენე ჯგუფებისთვის რეზონანსული საკითხი აღმოჩნდა საქართველოს ყოფილი გენერალური პროკურორის ოთარ ფარცხალაძისთვის აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ სანქციების დაწესება. აღნიშნულ გადაწყვეტილებას მკვეთრად უარყოფითი შეფასებები მოჰყვა ხელისუფლების, „ქართული ოცნების“ სატელიტი პოლიტიკური გაერთიანების „ხალხის ძალისა“ და ულტრამემარჯვენე ჯგუფების მხრიდან. ეს ძალები ორკესტრირებულად ცდილობდნენ რუსეთის უშიშროების ფედერალური სამსახურის სასარგებლოდ საქმიანობაში მხილებული საქართველოს ყოფილი გენერალური პროკურორის დაცვას.

ოთარ ფარცხალაძეს 2023 წლის 18 სექტემბერს ეროვნული ბანკის განკარგულებით საბანკო აქტივებსა და ფინანსურ ტრანზაქციებზე წვდომა შეეზღუდა. ეროვნული ბანკის გადაწყვეტილებას „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე ირაკლი კობახიძე მყისიერად გამოეხმაურა და აღნიშნა, რომ ეროვნული ბანკის მოქმედება უდანაშაულობის პრეზუმფციასა და საქართველოს კონსტიტუციას ეწინააღმდეგებოდა. აღნიშნული შეფასების პარალელურად, საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ-ი) პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელმა ნათია თურნავამ ცვლილებები შეიტანა სანქციათა რეჟიმების შესრულების წესში. ცვლილების თანახმად, საქართველოს მოქალაქეებზე არ გავრცელდება საერთაშორისო სანქციები, თუ ქართულ სასამართლოში მათ მიმართ შესაბამის საქმეზე გამამტყუნებელი განაჩენი დამდგარი არაა. ცვლილებამ ოთარ ფარცხალაძეს შესაძლებლობა მისცა იმავე დღეს გადაეფორმებინა ქონების ნაწილი შვილის სახელზე. ნათია თურნავას მოქმედება, რის გამოც სებ-ის სამი ვიცე-პრეზიდენტი თანამდებობიდან გადადგა, დადებითად შეაფასა „ქართული ოცნების“ სატელიტმა პოლიტიკურმა გაერთიანებამ „ხალხის ძალამ“ და ღიად პრორუსულმა „კონსერვატიულმა მოძრაობა/ალტ-ინფომ.“

„ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ, რომელიც 2023 წლის მარტში აქტიურად უჭერდა მხარს „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ ე.წ. რუსულ კანონპროექტს, განაცხადა, რომ **„სასამართლოს გადაწყვეტილებამდე არ შეიძლება ადამიანს აგენტი უწოდო.“** მისი რიტორიკა მისაღები აღმოჩნდა ულტრამემარჯვენე, ღიად პრორუსული მედია პლატფორმის „ალტ-ინფოს“ წამყვანებისთვისაც. გადაცემაში „დღის კომენტარი“ წამყვანმა თენგო ომანიძემ, ანტიამერიკული განწყობების ფონზე მიმოიხილა ოთარ ფირცხალაძის სანქცირების საკითხი და აღნიშნა: **„ოპოზიციის წარმომადგენლებმა, სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე, უკვე გაასამართლეს ადამიანი და გამოაცხადეს რუსეთის ჯაშუშად, აგენტად, მოღალატედ.“**

ეროვნული ბანკის გადაწყვეტილებას გამოეხმაურა „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ ე.წ. რუსული კანონპროექტის თანაავტორი, „ხალხის ძალის“ ლიდერი ეკა სეფიაშვილი. პარლამენტარმა გადაცემაში „პოსტ-ანალიტიკა“ ნათია თურნავას გადაწყვეტილება დადებითად შეაფასა: „ძალიან კარგი, რომ ეროვნულმა ბანკმა ისეთი დადგენილება გამოიტანა, რომელიც სრულ შესაბამისობაშია კონსტიტუციასთან და უდანაშაულობის პრეზუმფციას აღიარებს.“

სებ-ის მიერ განხორციელებული ცვლილებები ულტრამემარჯვენე ორგანიზაცია „ბავშვთა უფლებების დაცვის საზოგადოების“ ლიდერმა ალექსანდრე ფალავანდიშვილმაც მოიწონა და ფეისბუქ პოსტში აღნიშნა: **„როდესაც ეროვნული ბანკი, ნაცვლად ამერიკისა, საქართველოს კონსტიტუციას დაემორჩილა, აგენტურამ პროტესტის ნიშნად სებ-ის დატოვება დაიწყო!“**



ხელისუფლებამ, უსაფრთხოების სექტორში მტრული სახელმწიფოს გავლენების გასანეიტ-რალებლად ძირეული რეფორმების გატარების ნაცვლად, ულტრამემარჯვენე ძალებთან ერთად რუსული აგენტურის კვალის დაფარვა სცადა, რაც შეიძლება მიუთითებდეს, რომ ცალკეულ შემთხვევებში, „ქართული ოცნება“ საქართველოში მოქმედ ულტრამემარჯვენე ძალებს პოლიტიკურ ინსტრუმენტად იყენებს.

2. ულტრამემარჯვენე ჯგუფების ანტიდასავლური და ანტიამერიკული ნარატივები

ულტრამემარჯვენე ჯგუფების დისკურსში ანტიდასავლური გზავნილები ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური მოვლენებისდა შესაბამისად განიცდიდა ტრანსფორმაციას.

საანგარიშო პერიოდში აქტუალობა არ დაუკარგავს საქართველოსთვის ევროკავშირის წევრი ქვეყნის კანდიდატის სტატუსის მინიჭების საკითხს. საწყის ეტაპზე, ექსტრემისტული ჯგუფების წარმომადგენლები აცხადებდნენ, რომ საქართველო კანდიდატის სტატუსს ვერ მიიღებდა და ამ ნარატივით ცდილობდნენ საზოგადოებაში ევროსკეპტიციზმის გაძლიერებას. მას შემდეგ, რაც ცნობილი გახდა ევროპული საბჭოს გადაწყვეტილება საქართველოსთვის კანდიდატი ქვეყნის სტატუსის მინიჭების შესახებ, ულტრამემარჯვენე ჯგუფებმა აგრესიული, ანტიდასავ-ლური კამპანია წამოიწყეს, რომელიც ევროკავშირის დროშების მასობრივ განადგურებაში გამოიხატა.

საანგარიშო პერიოდში, აშკარად გამოჩნდა მმართველი პარტიისა და ულტრამემარჯვენე ჯგუფების ანტიდასავლური გზავნილების მსგავსება, მთელი რიგი საკითხების გარშემო. ორივე პოლიტიკური ძალისთვის რეზონანსული აღმოჩნდა: 1) სექტემბერში ევროპული კომისიის ვიცე-პრეზიდენტის და საგარეო საქმეთა და უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხებში ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენლის ჯოზეფ ბორელის ოფიციალური ვიზიტი თბილისში; და 2) საქარ-თველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის განცხადება ქვეყანაში შესაძლო დესტა-ბილიზაციისა და გადატრიალების მცდელობაში USAID-ის როლზე.

საგულისხმოა, რომ სუს-ის აღნიშნული განცხადება ძალადობრივი ორგანიზაციული ერთობის „ანტი-მაიდნის“ წამოწყების საფუძველი გახდა. ოქტომბერში ცხადი გახდა, რომ „კონ-სერვატიული მოძრაობა/ალტ-ინფო“, რეგიონული შეხვედრების გზით მხარდამჭერთა მობილ-იზებას ცდილობდა, როგორც „ანტი-მაიდნის“ მოძრაობის გასაძლიერებლად, ასევე, წინასა-არჩევნოდ პოლიტიკური დივიდენდების მოსაპოვებლად. ოქტომბრიდან, ისრაელზე ჰამასის თავდასხმის შემდეგ განახლებულმა სამხედრო კონფლიქტმა ულტრამემარჯვენე ჯგუფების ანტიდასავლურ რიტორიკაში შესამჩნევად გაძლიერა ანტიამერიკული განწყობები.

2.1. ანტიდასავლური გზავნილების დროში ტრანსფორმაცია კანდიდატი ქვეყნის სტატუსის მონიჭების კვალდაკვალ

მთელი საანგარიშო პერიოდის განმავლობაში საქართველოსთვის ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის სტატუსის მინიჭების საკითხი საზოგადოებრივ და პოლიტიკურ დისკურსში ცენტრალ-ურ ადგილს იკავებდა. შესაბამისად, ღიად პრორუსული ულტრამემარჯვენე ჯგუფებისთვის ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის სტატუსის საკითხი, რომელიც ფორმალურად განსაზღვრავს ქვეყნის საგარეო პოლიტიკურ კურსს, განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ იყო.

საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭებამდე ძალადობრივი ჯგუფები საზოგადო-ებაში ევროსკეპტიკური განწყობების გაღვივებას ცდილობდნენ და სახელისუფლებო ჯგუფებ-თან უნისონში ცდილობდნენ დასავლური ინსტიტუტების მარგინალიზებას.

მარგინალიზების მცდელობის თვალნათელი მაგალითია ჟოზეფ ბორელის მიმართ ხელისუფლების, „ქართული ოცნების“ სატელიტი პოლიტიკური გაერთიანების „ხალხის ძალისა“ და ულტრამემარჯვენე ჯგუფების უარყოფითი გამოხმაურებები. 2023 წლის 7 სექტემბერს, თბილისში ოფიციალური ვიზიტით მყოფმა ევროპული კომისიის ვიცე-პრეზიდენტმა და საგარეო საქმეთა და უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხებში ევროკავშირის უმაღლესმა წარმომადგენელმა მკაფიოდ დაადასტურა საქართველოს ევროპული მომავლის მხარდაჭერა. თუმცა, ამავდროულად, უკმაყოფილება გამოხატა საქართველო-რუსეთს შორის პირდაპირი ფრენების აღდგენასთან დაკავშირებით და ევროკომისიის მიერ საქართველოსთვის შემუშავებული 12 რეკომენდაციის შესრულების მდგომარეობაზე ისაუბრა. ბორელის განცხადებით, საქართველომ მხოლოდ სამი რეკომენდაცია შეასრულა და დანარჩენის შესასრულებლად ხელისუფლების მხრიდან დამატებითი ძალისხმევა იყო საჭირო.

„ქართული ოცნების“ შეფასება

ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენლის განცხადებებს საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი გამოეხმაურა და აღნიშნა, რომ „საქართველოში არც ერთი სანქცირებული ავიაკომპანია და არც ერთი სანქცირებული თვითმფრინავი არ დაფრინავს.“ პრემიერ-მინისტრმა ღიად გამოხატა უკმაყოფილება უკრაინისა და მოლდოვისთვის კანდიდატის სტატუსის ყოველგვარი დათქმების გარეშე მინიჭების გამო. მისი მტკიცებით, ევროკავშირის გადაწყვეტილება **უსამართლო** იყო, მაშინ, როდესაც უკრაინამ და მოლდოვამ კანდიდატის სტატუსი ავანსად მიიღეს. ევროკავშირის 2022 წლის გადაწყვეტილება **უსამართლოდ** შეაფასა მამუკა მდინარაძემაც.

„ხალხის ძალა“

ბორელის შეფასებები ევროკავშირის დემონიზებისა და ანტიდასავლური განწყობების გასაღვივებლად გამოიყენა ხელისუფლების სატელიტი „ხალხის ძალის“ წევრმა დავით ქართველიშვილმა. მისი განცხადებით, ბორელის შეფასებები ცრუ და ფარისევლური იყო. ქართველიშვილმა გააცოცხლა „მეორე ფრონტის გახსნის“ დეზინფორმაციული ნარატივი და აღნიშნა, რომ თუ საქართველოს რუსეთის წინააღმდეგ ომში ჩაითრევენ, მაშინ ქვეყანას კანდიდატის სტატუსის მიღებასთან დაკავშირებით პრობლემა აღარ ექნება.

„კონსერვატიული მოძრაობა/ალტ-ინფო“

ბორელის საქართველოში ვიზიტი აქტიურად მიმოიხილეს „ალტ-ინფოს“ ეთერში. 7 სექტემბერს, გადაცემაში „დღის კომენტარი“ ევროკავშირს დემოკრატიის კულტურა დაუწუნა და კოლონიალისტურ წარსულში დასდო ბრალი „კონსერვატიული მოძრაობა/ალტ-ინფოს“ წევრმა ზურაბ ზუკაკიშვილმა. მისი მტკიცებით, „ევროკავშირმა თავისი „ბაღი“ გენოციდით და სხვა ქვეყნების ძარცვით შექმნა და არა სწორი პოლიტიკის გატარებითა და დემოკრატიით.“ კიდევ ერთი, პრორუსი პროპაგანდისტი და „კონსერვატიული მოძრაობა/ალტ-ინფოს“ წევრი ილია მეგრელიშვილი გადაცემაში „დღის კომენტარი“ ამტკიცებდა, რომ ევროკავშირის მაღალი თანამდებობის პირის ვიზიტი მიზნად ისახავდა თავდასხმების განხორციელებას კონსერვატიულად განწყობილ პატრიოტებზე.

ბორელის ვიზიტი ულტრამემარჯვენე ონლაინ მედიაში

ღიად პროკრემლისტურ ვებგვერდზე „საქართველო და მსოფლიო“ 12 სექტემბერს გამოქვეყნდა სტატია სახელწოდებით: „ევროპაში იციან, რომ რუსეთთან დაპირისპირება საქართველოს შეიძლება ძვირად დაუჯდეს, მაგრამ მაინც გვეუბნებიან, ისე მოვიქცეთ, როგორც თვითონ გვკარნახობენ“, სადაც შეფასებულია ჯოზეფ ბორელის ვიზიტი საქართველოში და აღნიშნულია, რომ დასავლეთის რეალურ ინტერესს საქართველოში ხელისუფლების რევოლუციის გზით ცვლილება წარმოადგენს. სტატიაში ხაზგასმულია, თითქოს დასავლეთის ინტერესშია საქართველომ ომის მეორე ფრონტი გახსნას რუსეთის წინააღმდეგ.

ამგვარად, პროკრემლისტური ძალები და ულტრამემარჯვენე ჯგუფები საზოგადოებაში ევროკავშირის შესახებ ნიჰილიზმის დანერგვას და ამ მიზნით იმგვარი ნარატივის დამკვიდრებას ცდილობდნენ, რომ თითქოსდა, საქართველოს ევროატლანტიკურ სივრცეში განვითარების პერსპექტივა არ აქვს. შესაბამისად, მას არაფერი აკავშირებს ევროპულ იდენტობასთან. ულტრამემარჯვენე ჯგუფების ანტიდასავლურმა რიტორიკამ ხელისუფლების წარმომადგენლებს ერთგვარი საფუძველი შეუქმნა ევროატლანტიკური ინსტიტუციების ირიბი დისკრედიტაციისთვის. ძალადობრივი ჯგუფებისგან განსხვავებით, „ქართული ოცნება“ სტატუსის მონიჭების პროცესში ცდილობდა ორმაგად მომგებიანი პოლიტიკური პოზიციის შენარჩუნებას. ევროპული კომისიის მიერ უარყოფითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, ხელისუფლების მხრიდან მხარდაჭერილ ანტიდასავლურ კამპანიას საზოგადოებაში უკვე შექმნილი უნდა ჰქონოდა სკეპტიკური განწყობა და უარყოფითი დამოკიდებულება ევროატლანტიკური ინსტიტუციების მიმართ, ხოლო დადებითი პასუხის შემთხვევაში, „ქართული ოცნება“ კანდიდატის სტატუსს საკუთარ პოლიტიკურ მიღწევად ჩათვლიდა.

ჯოზეფ ბორელის ვიზიტის პარალელურად გაძლიერებულმა პროპაგანდისტულმა და დისკრედიტაციულმა კამპანიამ ევროკავშირის „უსამართლობის“ შესახებ, ზედაპირზე ამოატივტივა ხელისუფლების ორმაგი პოლიტიკური ინტერესი, რაც ამ პროცესში ულტრამემარჯვენე ძალადობრივი ჯგუფების პოლიტიკურ ინსტრუმენტად გამოყენებასაც გულისხმობს. აღნიშნული მიდგომა კიდევ უფრო თვალსაჩინო გახდა დეკემბერში, ევროპული საბჭოს მიერ საქართველოსთვის კანდიდატი ქვეყნის სტატუსის მინიჭების შემდგომ. ხელისუფლების წარმომადგენლები ღიად უკავშირებდნენ აღნიშნულ გადაწყვეტილებას საკუთარ წარმატებულ პოლიტიკურ საქმიანობას, ულტრამემარჯვენე ჯგუფები კი კვლავ ევროკავშირის დემონიზებას და მის სივრცეში საქართველოს ინტეგრირების უპერსპექტივობის წარმოჩენას ცდილობდნენ.

თბილისის მერმა კახი კალაძემ 15 დეკემბერს, ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მოპოვების აღსანიშნავ ღონისძიებაზე შეკრებილ მოქალაქეებს სიტყვით მიმართა და განსაკუთრებული მადლობა გადაუხადა ბიძინა ივანიშვილს, რომელიც ამ ისტორიული მოვლენის მთავარ შემოქმედად მოიხსენია. „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ ირაკლი კობახიძემ საკუთარი გუნდის პოლიტიკურ მიღწევად შეაფასა ქვეყნისთვის კანდიდატის სტატუსის მოპოვება.

ხელისუფლებისგან განსხვავებით, ულტრამემარჯვენე ჯგუფებმა საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭების შემდგომ ევროსკეპტიკური გზავნილები აგრესიულ რიტორიკად გარდაქმნეს. 2023 წლის 20 დეკემბერს პოლიციამ დააკავა „კონსერვატიული მოძრაობა/ალტ-ინფოს“ წევრი ლაშა შარუხია, მცხეთის გამგეობის შენობაზე აღმართული ევროკავშირის დროშის დაწვის ბრალდებით. აღნიშნულ ფაქტს ექსტრემისტული ჯგუფების ანტიდასავლური კამპანია „დაწვი ევროკავშირის დროშები“ მოჰყვა, რასაც რადიკალური დაჯგუფების მხარდამჭერები და ლიდერები შეუერთდნენ. შარუხიას მხარდასაჭერად ევროკავშირის დროშები რამდენიმე მღვდელმაც დაწვა, რისი დამადასტურებელი ვიდეო მასალაც სოციალურ ქსელებში გავრცელდა. კამპანიას „კონსერვატიული მოძრაობა/ალტ-ინფოს“ ლიდერები ირაკლი მარტინენკო და ზურაბ მახარაძეც შეუერთდნენ, რომლებმაც 22 დეკემბერს თბილისის

მერიის წინ აღმართული ევროკავშირის დროშა დაწვეს, თუმცა ლაშა შარუხიასგან განსხვავებით, სამართალდამცავებმა მახარაძე და მარტინენკო მალევე გაათავისუფლეს. ამ ეტაპზე, შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადებით, ირაკლი მარტინენკო დაჯარიმებულია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 174-ე[18] მუხლის პირველი ნაწილით, ხოლო ზურა მახარაძის მიმართ დაწყებულია ადმინისტრაციული საქმის წარმოება 174-ე[18] მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად.

ლაშა შარუხიას დაპატიმრებას გამოეხმაურა „კონსერვატიული მოძრაობა/ალტ-ინფოს“ ლიდერი კონსტანტინე მორგოშია: „სანამ ასეთი ხალხი იარსებებს, ამ ქვეყანას ვერანაირი „ევროკავშირები“ და სხვები ვერ დააჩოქებენ! ლაშასგან მაგალითი უნდა აიღოს ყველამ. ლაშა, გმირი ხარ და მალე ერთად ვიზეიმებთ დიდ გამარჯვებას!“ მხარდამჭერებს მადლობა გადაუხადა თავად ბრალდებულმა ლაშა შარუხიამაც და ციხიდან გაავრცელა წერილობითი მიმართვა: „მე დავწვი ევროკავშირის დროშა, რომელიც მომტანია ყოველგვარი უზნეობის, გარყვნილების და გახრწნილებისა“. მხარდაჭერისა და სოლიდარობისთვის შარუხიამ კონსტანტინე მორგოშიას განსაკუთრებული მადლობა გადაუხადა.



2.2. სუს-ის განცხადებებმა „კონსერვატიული მოძრაობა/ალტ-ინფოს“ ანტიდასავლური რიტორიკა გაამყარა

2023 წლის 2 ოქტომბერს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის განცხადებას USAID-ის მხარდაჭერილ ღონისძიებაზე „ხელისუფლების ძალადობრივი გზით დამხობის პროცესების“ მოსამზადებლად აქტივისტების ჯგუფის გადამზადების შესახებ, ღიად პრორუსული ულტრა-მემარჯვენე რადიკალური ჯგუფების ანტიამერიკული და ანტიდასავლური გამოხმაურება მოჰყვა.

შესაძლო დესტაბილიზაციასა და სამოქალაქო არეულობის დაგეგმვაზე განცხადება სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა თავდაპირველად 18 სექტემბერს გამოაქვეყნა, რაც „კონსერვატიული მოძრაობა/ალტ-ინფოს“ მიერ ძალადობრივი ორგანიზაციული ერთობის „ანტი-მაიდნის“ შექმნის საფუძველი გახდა. 2023 წლის 25 სექტემბერს პარტიის ლიდერებმა ზურა მახარაძემ, გიორგი ქარდავამ, შოთა და ირაკლი მარტინენკოებმა ბრიფინგი გამართეს, სადაც სუს-ის განცხადებაზე დაყრდნობით, საქართველოში გადატრიალების მცდელობის საწინააღმდეგოდ „თანამოაზრეთა ძალების“ მობილიზაციის აუცილებლობაზე ისაუბრეს.

„ჩვენ უნდა დავაორგანიზოთ მთელი საქართველოს მასშტაბით, ორგანიზებული, შეკრული ჯგუფები, იმისთვის, რომ გვქონდეს საშუალება და რამდენიმე საათში რეგიონებიდან შეგვეძლოს ათეულობით ათასი ადამიანის გადმოყვანა“ - განაცხადა შოთა მარტინენკომ.

სუს-ის განცხადებას ფეისბუქ პოსტით გამოეხმაურა „კონსერვატიული მოძრაობა/ალტ-ინფოს“ დამფუძნებელი კონსტანტინე მორგოშია და აღნიშნა: „როგორც ჩანს, ჩვენი ქვეყნის ბედი, კაბინეტების და ადმინისტრაციული შენობების ნაცვლად, თბილისის ქუჩებში გადაწყდება და სტრატეგიულად მნიშვნელოვანია, რომ ამ ქვეყნის ჯანსაღი, კონსერვატიულად განწყობილი ნაწილი, ამ სცენარისათვის მზად იყოს.“ მხარდამჭერთა მობილიზების მიზნით, ინფორმაცია გავრცელდა ფეისბუქ გვერდზე „ალტერინფო“: „შემოუერთდი ანტიმაიდანს! მზად ვიყოთ ბრძოლისთვის! გადავარჩინოთ საქართველო ომისგან და გადატრიალებისგან!“

„ანტიმაიდანი“ აქტიურად განიხილება „კონსერვატიული მოძრაობა/ალტ-ინფოს“ ლიდერების: შოთა მარტინენკოს, ზურა მახარაძის, გიორგი ქარდავას და ირაკლი მარტინენკოს პირად ტელეგრამ არხებზე, რასაც ხშირ შემთხვევაში თან ახლავს გამომწერთა კომენტარები ძალადობრივი მოწოდებებით. ძალადობრივი ჯგუფის ლიდერები მხარდამჭერებს აქტიურობისკენ მოუწოდებენ და სახელმწიფო გადატრიალების საკითხზე აპელირებით ცდილობენ საზოგადოებაში შიშის დანერგვას. სწორედ ამ მიზნით, „კონსერვატიული მოძრაობა/ალტ-ინფოს“ ლიდერები ტელეგრამ არხზე ავრცელებენ ვიდეო მიმართვას, სადაც მხარდამჭერებს მოუწოდებენ „გაწევრიანდნენ ანტიმაიდნის მოძრაობაში“, რათა დაიცვან ქვეყანა „დასავლური რევანშისგან“.

მიუხედავად იმისა, რომ ორგანიზატორთა მოწოდებები, სავარაუდოდ, სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნებს შეიცავდა, სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან აღნიშნულ ფაქტს შესაბამისი რეაგირება არ მოჰყოლია. ერთი მხრივ, ძალადობრივი მოძრაობის შექმნის უგულებელყოფამ და მეორე მხრივ, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის აქცენტირებამ, დასავლური ძალების მიერ ქვეყანაში დესტაბილიზაციის მოწყობის მცდელობაზე, გააჩინა ეჭვი, რომ შესაძლოა, ხელისუფლების ინტერესში იყოს - გაატაროს ანტიდასავლური კურსი, რომლის პოლიტიკურ ინსტრუმენტადაც აქტიურად იყენებს ძალადობრივ ჯგუფებს.

სუს-ის განცხადების საპასუხოდ, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ შალვა პაპუაშვილმა სახელმწიფო გადატრიალების მცდელობაზე პასუხისმგებლობა USAID-ს დააკისრა: **„USAID-მა გააკეთოს განმარტება, რატომ მიდის ამერიკელი ხალხის ფული სხვა ქვეყანაში არეულობის ინსპირაციის, ჯგუფების მომზადებისთვის, რომელთაც არეულობები უნდა დაგეგმონ და ძალადობის პროვოცირება უნდა მოახდინონ. ეს არის შავი დღე საქართველოს მიმართ ამერიკის დახმარების ისტორიაში“.**

„მეორე ფრონტით“ საზოგადოების დაშინების ტაქტიკას მიმართა და „დასავლური ძალები“ ომში ჩათრევის მცდელობაში კიდევ ერთხელ დაადანაშაულა „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ ირაკლი კობახიძემ, რომელმაც აღნიშნა: **„საჭიროა განმარტებების მიღება იმასთან დაკავშირებით, თუ რატომ დაფინანსდა USAID-ის მიერ ასეთი ტრენინგი, რომლის პირდაპირი მიზანი იყო საქართველოში რევოლუციის მომზადება“.**

„კონსერვატიული მოძრაობა/ალტ-ინფოს“ ლიდერებმა ხელისუფლების მსგავსი რიტორიკით და ანტიდასავლური განწყობებით განაგრძეს „ანტიმაიდნის მოძრაობის“ ორგანიზება. მათ სუს-ის განცხადების კვალდაკვალ დაიწყეს რეგიონული შეხვედრები და მხარდამჭერთა მობილიზება, „სახელმწიფო გადატრიალების თავიდან აცილების“ მანიპულაციური მოტივით.

საანგარიშო პერიოდში „კონსერვატიულმა მოძრაობა/ალტ-ინფომ“ საქართველოს რეგიონებში შვიდი შეხვედრა გამართა, რაც ძალადობრივი პოლიტიკური დაჯგუფების მკაფიო პოლიტიკურ ინტერესზე მიანიშნებს.

პირველი საორგანიზაციო შეხვედრა „კონსერვატიულმა მოძრაობა/ალტ-ინფომ“ თელავში

გამართა. შეხვედრა თელავის ვაჟა ფშაველას სახელობის სახელმწიფო პროფესიულ დრამატულ თეატრში ჩატარდა. თეატრი საჯარო სამართლის იურიდიული პირია და სახელმწიფოსგან ფინანსდება. თელავში ჩატარებულ შეხვედრაზე ღიად პრორუსული ძალის წარმომადგენლებმა „ანტიმაიდნის“ მნიშვნელობაზე და 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებზეც ისაუბრეს. შოთა მარტინენკომ დაადასტურა, რომ ღიად პრორუსული დაჯგუფება 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობისთვის ემზადება. „ახლა უშუალოდ გვიდგას ორი ამოცანა. ერთი არის „ანტიმაიდნისთვის“ ეფექტური ორგანიზება და მეორე, მომავალი წლისთვის იგეგმება არჩევნები. ის ღონისძიებები, რომლებიც ახლა გატარდება, ძალიან მნიშვნელოვანი საფუძველი იქნება იმ ერთობის შესაკრავად, რომელიც მომავალ წელს არჩევნებში ძალიან მნიშვნელოვანი შედეგის დადებაში დაგვეხმარება.“

მეორე რეგიონული შეხვედრა „კონსერვატიული მოძრაობა/ალტ-ინფოს“ ლიდერებმა რუსთავში 7 ოქტომბერს გამართეს. შეხვედრაზე ირაკლი მარტინენკომ განაცხადა: „ჩვენ ვუპირისპირდებით დასავლეთს. ისინი აორგანიზებენ გადატრიალებას, რათა მათმა აგენტებმა ჩაიგდონ ხელში ძალაუფლება და ომში ჩართონ ჩვენი ქვეყანა.“

„ალტ-ინფო“ გორში მოსახლეობას 14 ოქტომბერს შეხვდა. მცხეთაში საორგანიზაციო შეხვედრა 21 ოქტომბერს შედგა, რომელსაც სხვა რეგიონული შეხვედრებისგან განსხვავებით, კონსტანტინე მორგოშიაც ესწრებოდა. „კონსერვატიული მოძრაობა/ალტ-ინფოს“ ლიდერები ექსპერტებსა და პოლიტოლოგებს შეხვდნენ. შოთა მარტინენკოს განცხადებით, ჩატარებული ღონისძიების ერთ-ერთი მთავარი მიზანი „ანტიმაიდნის“ საბჭოს და ალტერნატიული პოლიტიკური და იდეოლოგიური პლატფორმის ფორმირება იყო, რომელიც ლიბერალური დღის წესრიგის საპირწონე იქნება.

შემდეგი საორგანიზაციო შეხვედრა 2023 წლის 29 ოქტომბერს გაიმართა ქუთაისში. შეხვედრაზე „ალტ-ინფოს“ ლიდერებმა „ანტიმაიდნის“ გეგმასა და 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებზე ისაუბრეს. შოთა მარტინენკოს განცხადებით, „სტრატეგიული ამოცანები აღარ შემოიფარგლება უახლოესი 2 თვის განმავლობაში არსებული არეულობების საფრთხეებით, არამედ ჩვენ უნდა უზრუნველვყოთ ერთგვარი ფარი პოლიტიკური ვექტორის სახით, რომელმაც უნდა ააცილოს ქვეყანას პოლიტიკური დღის წესრიგის გადატრიალება, არამხოლოდ არეულობების გზით, მათ შორის არჩევნების გზით“.

მეექვსე რეგიონული შეხვედრა „კონსერვატიულმა მოძრაობა/ალტ-ინფომ“ 2023 წლის 11 ნოემბერს გამართა ბათუმში. შეხვედრაზე შოთა მარტინენკომ აღნიშნა, რომ დასავლეთის მიზანი იყო საქართველოს ომში ჩათრევა მეიდანის სცენარით.

მორიგი რეგიონული შეხვედრა ზუგდიდში 2023 წლის 18 ნოემბერს ჩატარდა. შეხვედრაზე რადიკალური დაჯგუფების ლიდერმა ირაკლი მორგოშიამ 2024 წლის საპარლამენტო არჩევნების მნიშვნელობაზე ისაუბრა: „2024 წლის არჩევნები ეს არ იქნება მხოლოდ არჩევნები. ეს არის ბრძოლა, სადაც გადაწყდება, საქართველო როგორ გეზს აირჩევს და საქართველოს, როგორც ერის გადარჩენის არჩევნები. ამას ვამბობ სრული პასუხისმგებლობით.“

2.3. ულტრამემარჯვენე ჯგუფების ანტიამერიკული რიტორიკა ისრაელ-ჰამასის სამხედრო კონფლიქტის ფონზე

ულტრამემარჯვენე ჯგუფების ანტიამერიკული რიტორიკა, რომელიც ისრაელი-ჰამასის სამხედრო კონფლიქტის ფონზე გააქტიურდა, დასავლეთს არასანდო პარტნიორად სახავს, ომის შიშზე აპელირებს და საქართველოს უსაფრთხოების გარანტად რუსეთს წარმოაჩენს, რაც საქართველოს ევროატლანტიკურ მისწრაფებებს პირდაპირ ეწინააღმდეგება და საზოგადოებაში ირაციონალური შიშების გაღვივებას ისახავს მიზნად.

ისრაელზე ჰამასის თავდასხმის შემდეგ განახლებულმა სამხედრო კონფლიქტმა ღიად პრორუსული ულტრამემარჯვენე ჯგუფების ანტიამერიკულ რიტორიკას ახალი იმპულსი შესძინა. „კონსერვატიულმა მოძრაობა/ალტ-ინფომ“ ისრაელი-ჰამასის კონფლიქტი დასავლეთის არასანდო პარტნიორად და აშშ-ს, როგორც კონფლიქტების წამახალისებელ ძალად წარმოსაჩენად გამოიყენა, რომლისთვისაც ახლა მთავარი პრიორიტეტი ისრაელია; მისი დახმარების ფონზე კი, უკრაინის საერთაშორისო მხარდაჭერა მცირდება.

2023 წლის 10 ოქტომბერს, ტელეკომპანია „ალტ-ინფოს“ გადაცემაში „რეალპოლიტიკა“, „კონსერვატიული მოძრაობა/ალტ-ინფოს“ ლიდერმა ზურა მახარაძემ ნიშნისმოგებით აღნიშნა, რომ ისრაელში გაჩაღებული ომის ფონზე უკრაინის მდგომარეობა სულ უფრო კრიტიკული ხდება: **„მოკლედ, ზელენსკის ადგილზე, მე ძალიან ვინერვიულებდი. უკრაინის გმირი „კავეენშიკი" ყველა საინფორმაციო არხიდან და ანალიტიკიდან გაქრა. უკრაინის დახმარებაზე პრიორიტეტული ამერიკისთვის ისრაელის მხარდაჭერა ხდება“**. ულტრამემარჯვენე ლიდერი აღნიშნული განცხადებით შეეცადა უკრაინა დასავლელი პარტნიორებისგან განწირულ მხარედ წარმოეჩინა. ასეთი ნარატივი ინტეგრირებულია იდეასთან, რომ უკრაინის მსგავსად, საქართველოც, რუსეთის თავდასხმის შემთხვევაში, მარტო აღმოჩნდება. აღნიშნული მტკიცება ხელს უწყობს ანტიამერიკული განწყობებისა და ნიჰილიზმის გამყარებას და პროკრემლისტური კამპანიის მნიშვნელოვან ინფორმაციულ იარაღს წარმოადგენს, რომელიც წლებია, რეგიონში რუსეთის გავლენებისა და უძლეველობის მითის შექმნას ცდილობს. ასეთი დეზინფორმაცია საყურადღებო და საფრთხილოა იმდენად, რამდენადაც ის დგას ფართოდ გავრცელებული პროპაგანდისტული გზავნილის უკან, რომ: „რუსეთთან მშვიდობიანი და მჭიდრო კავშირი აუცილებელია, ვინაიდან მასთან დაპირისპირების შემთხვევაში, საქართველოს მხარდამჭერი არ ეყოლება“.

საქართველოში ულტრამემარჯვენე აქტორები ანტიამერიკულ რიტორიკას პრორუსული განწყობების ფონზე ავითარებენ. მათი პროპაგანდისტული მედია, როგორც წესი, ფაქტების გაზვიადების, გაყალბების და აქტორთა დემონიზების მეთოდებს იყენებს. ამ მხრივ აღსანიშნავია „კონსერვატიული მოძრაობა/ალტ-ინფოს“ აქტიური წევრის გიორგი პაპუნაშვილის 9 ოქტომბრის განცხადება გადაცემაში „დღის კომენტარი“, სადაც ის მიმოიხილავს ისრაელ-ჰამასის კონფლიქტს, როგორც შემაშფოთებელ სიგნალს საქართველოსთვის და ცდილობს დაამკვიდროს აზრი, რომ ამერიკა, როგორც სტრატეგიული პარტნიორი, არასანდო და უფუნქციოა. **„ის, თუ რა ხდება ახლა ისრაელში, უნდა იყოს ჩვენთვის სიგნალი. მაშინ, როდესაც შენ ფსონს დებ ისეთ გეოპოლიტიკურ ძალაზე, რომელიც არის შენგან ძალიან შორს, რეგიონში იჩენ ბუნებრივ მტრებს. ჩვენი მოკავშირე არის ოკეანის გადაღმა. ვატარებთ მათ ინტერესს და სიტყვაზე, რამე რომ მოხდეს აქ, ხვალ შეუძლებელია კოლექტიური დასავლეთის მხრიდან ელემენტარული სამხედრო ლოჯისტიკის დალაგება.“**

ულტრამემარჯვენე ჯგუფის ლიდერებმა, მიმდინარე სამხედრო კონფლიქტის ფონზე, ანტიამერიკული რიტორიკა ნოემბერშიც აქტიურად გააგრძელეს. კვლავ აქტუალურ საკითხს წარმოადგენდა უკრაინის წარმოჩენა დასავლეთისგან მიტოვებულ და განწირულ მხარედ. ულტრამემარჯვენე ჯგუფის ლიდერმა შოთა მარტინენკომ 4 ნოემბერს გადაცემაში „ალტ-ანალიტიკა“ განაცხადა, რომ მიმდინარე საერთაშორისო პროცესების ფონზე დასავლეთი გამოიფიტება და უკრაინის მიმართ ეკონომიკური დახმარება არაპოპულარული გახდება. „სულ

რომ 200-მილიარდი მისცენ, შედეგი არის ეს. უკრაინამ დაკარგა ორი საქართველოს ხელა ტერიტორია. გეგმა რაშია? ამერიკა დაიღლება, მისი განწყობები გამოიფიტება. ეკონომიკური პრობლემები არაპოპულარულს გახდის დახმარების გაგრძელებას.“ ანალოგიური რიტორიკა განაგრძო 2023 წლის 6 ნოემბერს გადაცემა ალტ-ანალიტიკაში ირაკლი მარტინენკომ და [გა-ნაცხადა](), რომ უკრაინელი ხალხი ამერიკის მოთხოვნით აომეს. „უკრაინელ ხალხს ხომ არასდროს არ უნდოდა ომი? უკრაინელ ხალხს ყოველთვის უნდოდა მოლაპარაკება, მაგრამ ისინი აომეს. აომეს ამერიკის მოთხოვნით. ამერიკის დანიშნულმა მთავრობამ აომა უკრაინელი ხალხი.



3. ულტრამემარჯვენე ჯგუფების საპროტესტო აქციების ანოტაციები

საანგარიშო პერიოდში ორგანიზაციის დამკვირვებლები ულტრამემარჯვენე ჯგუფების მიერ თბილისის მასშტაბით ორგანიზებულ 2 შეკრებას დააკვირდნენ: 1 და 8 ივლისს დაგეგმილი აქციების/კონტრაქციების შესახებ ინფორმაცია სოციალური ქსელის საშუალებით გახდა ცნობილი, რომელიც ულტრამემარჯვენე დაჯგუფებებისა და მათი ლიდერებისთვის ინფორმაციის გავრცელებისა და მხარდამჭერთა მობილიზაციისთვის ყველაზე ხშირად გამოყენებად პლატფორმას წარმოადგენს.

დაკვირვების საწყის ეტაპზევე, შეკრებებისა და დემონსტრაციების მონიტორინგის სპეციალური ფორმა შევიმუშავეთ, რომლის დახმარებითაც აქციების/კონტრაქციების მიმდინარეობისას მნიშვნელოვანი ფაქტების სისტემატიზაცია შევძელით, გენდერულ ჭრილში ანალიზის მიზნით. პროექტის მიზნებისა და ამოცანების გათვალისწინებით, შეკრება-მანიფესტაციების მონიტორინგის ფარგლებში ყურადღება გავამახვილეთ:

- ხომ არ იყენებდნენ ულტრამემარჯვენე ჯგუფების ლიდერები ან შეკრების მონაწილეები სიძულვილის ენას.
- ხომ არ ჰქონდა ადგილი კონკრეტული პირების ან ჯგუფების მისამართით ძალადობრივ მოწოდებებს.

საანგარიშო პერიოდში ულტრამემარჯვენე ჯგუფებმა ორი აქცია ჩაატარეს. 2023 წლის 1 ივლისს ნეოფაშისტურმა დაჯგუფებამ „საქართველოს ეროვნული ერთობა“ ლოზუნგით: „დაიცავი შენი მიწა-წყალი! დაიცავი შენი ერი! საკუთარი მომავალი“, საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების წესის გამარტივებასთან დაკავშირებული კანონპროექტი გააპროტესტა. მცირერიცხოვან აქციაზე, რომელსაც 40-მდე დემონსტრანტი ესწრებოდა, შესამჩნევი იყო ნეოფაშისტური და ჰომოფობიური პლაკატები და სხვადასხვა სახის სიმბოლიკა. აქციის ორგანიზატორი იყო გიორგი ჭელიძე.

მეორე საპროტესტო მანიფესტაცია, რომელმაც მასშტაბური ძალადობრივი ხასიათი მიიღო, მკვეთრად ჰომოფობიურ ხასიათს ატარებდა. შეკრების ორგანიზატორი „კონსერვატიული მოძრაობა/ალტ-ინფო“ იყო. კონტრაქცია 8 ივლისს, თბილისი პრაიდის მიერ დაანონსებული ფესტივალის ჩასაშლელად დაიგეგმა. დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტის დამკვირვებლები

8 ივლისის აქციას მთელი დღის განმავლობაში ადევნებდნენ თვალს. 7 ივლისს შინაგან საქმეთა სამინისტრომ განცხადება გაავრცელა, სადაც აღნიშნული იყო, რომ თბილის პრაიდის დახურული ღონისძიება მშვიდ ვითარებაში ჩატარდებოდა და სამართალდამცავები ყველა ლოკაციაზე უზრუნველყოფდნენ უსაფრთხოებისა და მართლწესრიგის დაცვას.

მიუხედავად აღნიშნული გარანტიებისა, ძალადობრივი აქციის მონაწილე დემონსტრანტებმა ლისის ტბის მიმდებარედ მარტივად გაარღვიეს პოლიციის კორდონი და ფესტივალის ტერიტორიაზე შეიჭრნენ. ეფექტიანი, პრევენციული და სამართალდარღვევაზე მყისიერი რეაგირების ნაცვლად, პოლიციამ ფესტივალის მონაწილეები ტერიტორიას გაარიდა. მიუხედავად იმისა, რომ აქციის ორგანიზატორებმა შეკრების საწყის ლოკაციაზე ვაჟა-ფშაველას ძეგლთან, ღიად განაცხადეს, რომ ყველაფრის ფასად ჩაშლიდნენ პრაიდ ფესტივალს, პოლიციას არანაირი წინააღმდეგობა არ გაუწევია ლისის ტბისკენ მსვლელობით მიმავალი დემონსტრანტებისთვის. უფრო მეტიც, რამდენიმე ასეული სამართალდამცველი სამანქანო ესკორტით წინ მიუძღოდა მსვლელობას. პოლიცია თავად შეუძღვა ჩაშლილი ფესტივალის ტერიტორიაზე „კონსერვატიული მოძრაობა/ალტ-ინფოს“ ლიდერ ზურა მახარაძესა და ძალადობრივი ორგანიზაციის „საქართველო უპირველეს ყოვლისა“ დამფუძნებელ ვატო შაქარაშვილს ფესტივალის ორგანიზატორთა ევაკუაციაში დასარწმუნებლად. სამართალ-დამცავთა ჯეროვანი რეაგირება არ მოჰყოლია არც შემდგომ განვითარებულ მოვლენებს, როდესაც ძალადობრივი ჯგუფის წარმომადგენლებმა ფესტივალის კერძო ტერიტორიის დარ-ბევა და გაძარცვა დაიწყეს.

4. „კონსერვატიული მოძრაობა/ალტ-ინფოს“ ფინანსების მონიტორინგის შედეგები

„კონსერვატიული მოძრაობა/ალტ-ინფო“ ულტრამემარჯვენე და ღიად პრორუსული პოლიტ-იკური დაჯგუფებაა, რომელიც თავდაპირველად საზოგადოებაში ტელევიზიის ფორმით გამოჩნდა. 2021 წლის ნოემბერს რადიკალურმა დაჯგუფებამ საჯარო რეესტრს პარტიად რეგისტრაციის მოთხოვნით მიმართა, თუმცა განცხადება არ დაკმაყოფილდა. დადგენილი ხარვეზის აღმოსაფხვრელად განმცხადებელს 10-დღიანი ვადა მიეცა. 2021 წლის 7 დეკემბერს საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ რადიკალური დაჯგუფების მოთხოვნა დააკმაყ-ოფილა და „კონსერვატიული მოძრაობა/ალტ-ინფო“ პოლიტიკურ პარტიად დარეგისტრირდა.

4.1. „კონსერვატიული მოძრაობა/ალტ-ინფოს“ შემოწირულებები

პარტიად რეგისტრაციის შემდეგ ულტრამემარჯვენე და ღიად პრორუსულმა ექსტრემისტულმა დაჯგუფებამ პოლიტიკური აქტივობები დაიწყო. 2022 წლის იანვრიდან „კონსერვატიულმა მოძრაობამ“ ქვეყნის მასშტაბით ოფისების გახსნა დაიწყო, თუმცა პირველი შემოწირულება მხოლოდ 2022 წლის თებერვალში, უფრო კონკრეტულად კი, 16 თებერვალს მიიღო. ერთი დღის განმავლობაში შემოწირულება 37-მა ფიზიკურმა პირმა განხორციელდა, ხოლო შემოწირულ-ებების ჯამმა 43,000 ლარი შეადგინა.

ჯამში, „კონსერვატიულმა მოძრაობა/ალტ-ინფომ“ 2022 წელს 560.964 ლარი მიიღო.

თუმცა, 2022 წელთან შედარებით, 2023 წელს „კონსერვატიული მოძრაობა/ალტ-ინფოსთვის“ შეწირული თანხის რაოდენობამ მკვეთრად იკლო. თუ 2022 წელს შეწირული თანხის რაოდენობა 560.964 ლარი იყო, 2023 წლის იანვრიდან ნოემბრის ჩათვლით, ოფიციალური დეკლარაციის თანახმად, შემოწირულება 33.132 ლარამდე შემცირდა.

2022 წელს შეწირული თანხის რაოდენობა თვეების მიხედვით:

თვეები	**შეწირული თანხა**
თებერვალი	47.775
მარტი	56.360
აპრილი	61.633
მაისი	50.476
ივნისი	65.840
ივლისი	62.437
აგვისტო	23.380
სექტემბერი	34.965
ოქტომბერი	66.480
ნოემბერი	40.083
დეკემბერი	51.535
ჯამი	560.964

2023 წელს შეწირული თანხის რაოდენობა თვეების მიხედვით:

თვეები	**შეწირული თანხა**
იანვარი	12.640
თებერვალი	7.834
მარტი	1.250
აპრილი	2.960
მაისი	2.090
ივნისი	1.500
ივლისი	1.443
აგვისტო	550
სექტემბერი	992
ოქტომბერი	933
ნოემბერი	940
დეკემბერი	*

დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი დაინტერესდა, რამ გამოიწვია შეწირული თანხის ასეთი მკვეთრი ცვლილება და ამ კითხვით რადიკალური ჯგუფის ლიდერს კონსტანტინე მორგოშიას მიმართა. როგორც მორგოშია ამბობს, მათი შემომწირველები რეპრესიის მსხვერპლნი არიან ბანკების მხრიდან. პარტიის მთავარ დამფინანსებლად კი კვლავ ის რჩება.

„ჩვენ მხარდამჭერებს ბანკებმა შეუქმნეს პრობლემები კრედიტებსა და ოვერდრაფტებზე. ამბობ-ენ, რომ იმ ხალხს, რომელიც „კონსერვატიულ მოძრაობა/ალტ-ინფოს“ ფინანსურად ეხმარება, არ უნდა მოემსახურონ. რეპრესიები, მეტი კი არაფერი.“

დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი ასევე დაინტერესდა, აქვს თუ არა რადიკალური დაჯ-გუფების ლიდერს მოლაპარაკებები რუს ბიზნესმენებთან და იღებს თუ არა „კონსერვატიული მოძრაობა/ალტ-ინფო“ დაფინანსებას რუსეთისგან. როგორც მორგოშიამ განაცხადა, მათ მოლაპარაკებები რუსეთში მცხოვრებ ქართველ ემიგრანტებთან აქვთ, თუმცა არა - რუს ბიზნეს-მენებთან.

„მსგავსი საუბრები ყოველდღიურ რეჟიმში გვაქვს იმ ქართველ ემიგრანტებთან, რომლებიც რუსეთში ცხოვრობენ. რუს ბიზნესმენებთან არანაირი მოლაპარაკება არ გვაქვს.“

4.2. რამდენი შემომწირველი ჰყავს „კონსერვატიულ მოძრაობა/ალტ-ინფოს“?

2022 წლის თებერვლიდან 2023 წლის ოქტომბრის ჩათვლით, „კონსერვატიულ მოძრაობა/ალტ-ინფოს“ 102 შემომწირველი ჰყავს მათგან 101 ფიზიკური პირია და ერთი იურიდიული პირი. 2023 წლის იანვრიდან ოქტომბრის ჩათვლით რადიკალურ ექსტრემისტულ დაჯგუფებას მხოლოდ ორი შემომწირველი დაემატა: ნანა გერგაია და თეონა ბრუნჯაძე. შემომწირველი 101 ფიზიკური პირისგან უძრავ ქონებას მხოლოდ 33 ფლობს.

შემოწირული თანხის მსგავსად, შემომწირველთა რაოდენობაც მკვეთრადაა შემცირებული. 2023 წლის იანვრიდან ნოემბრის ჩათვლით, „კონსერვატიულმა მოძრაობა/ალტ-ინფომ“ შემოწირულება **43-ჯერ** მიიღო. შედარებისთვის, 2022 წლის განმავლობაში ექსტრემისტულ დაჯგუფებას **558-ჯერ** შესწირეს.

შემოწირულებათა რაოდენობა 2022 წლის მიხედვით:

თვეები	**შემოწირულებების რაოდენობა**
თებერვალი	42
მარტი	55
აპრილი	60
მაისი	57
ივნისი	63
ივლისი	64
აგვისტო	17
სექტემბერი	32
ოქტომბერი	65
ნოემბერი	45
დეკემბერი	58

შემოწირულებათა რაოდენობა 2023 წლის მიხედვით:

თვეები	**შემოწირულებების რაოდენობა**
იანვარი	12
თებერვალი	11
მარტი	2
აპრილი	2
მაისი	4
ივნისი	3
ივლისი	3
აგვისტო	1
სექტემბერი	1
ოქტომბერი	2
ნოემბერი	2
დეკემბერი[1]	*

[1] ინფორმაცია ხელმისაწვდომი არაა 2024 წლის 15 იანვრის მდგომარეობით.

4.3. არის თუ არა კონსტანტინე მორგოშია „კონსერვატიული მოძრაობა/ალტ-ინფოს“ მთავარი დამფინანსებელი?

კონსტანტინე მორგოშია ულტრამემარჯვენე პოლიტიკური დაჯგუფების „კონსერვატიული მოძრაობა/ალტ-ინფოს“ 101 ფიზიკურ შემომწირველს შორის **არ ფიგურირებს.** მიუხედავად ამისა, დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტთან ინტერვიუში კონსტანტინე მორგოშიამ განაცხადა, რომ იგი პარტიისა და ტელევიზია „ალტ-ინფოს“ მთავარი დამფინანსებელია**.**

დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი დაინტერესდა, რა უძრავ ქონებას ფლობენ კონსტანტინე მორგოშია და მისი ოჯახის წევრები. საჯარო რეესტრის მონაცემების მიხედვით, კონსტანტინე მორგოშიას სახელზე **მხოლოდ ორი კომპანიაა** დარეგისტრირებული. ის შპს „მაგნუს დიზაინის“ 51%-იანი წილის და შპს „კემ კონსტრაქშენის“ მფლობელია. შპს „მაგნუს დიზაინის“ საქმიანობა მშენებლობასთან, დიზაინთან და პროექტირებასთანაა დაკავშირებული, ხოლო შპს „კემ კონსტრაქშენი“ საინვესტიციო კომპანიაა.

კონსტანტინე მორგოშიამ დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტთან საუბარში აღნიშნა, რომ შპს „მაგნუს დიზაინი“ მის მფლობელობაში რამდენიმე წელია აღარ არის და წილი პარტნიორებს დაუთმო. თუმცა საჯარო რეესტრის ბოლო ამონაწერის მიხედვით, რომელიც 2022 წლის 25 თებერვლით თარიღდება, კომპანიის 51%-იანი წილის მფლობელი კვლავ კონსტანტინე მორგოშიაა; კომპანიის 45%-იანი წილს გიორგი შარაშენიძე ფლობს, ხოლო 4%-ს - ზურაბ ნაცვალაძე.

„შპს „მაგნუს დიზაინის“ დამფუძნებელი აღარ ვარ მეხუთე წელია, 5-6 წელია ჩემი წილი პარტნიორებს დავუთმე. შპს „კემ კონსტრაქშენი“ 10 წლის წინანდელი კომპანიაა, რომელზეც ვგეგმავდით ბიზნესაქტივობას, თუმცა შემდეგ აღარ განვახორციელეთ. მოძრაობაც არ აქვს არანაირი.“

მორგოშიას კომპანიები ძმებზე, ცოლსა და მამიდის სახლზეა რეგისტრირებული. მორგოშიას მამიდის ციალა მორგოშიას სახელზეა რეგისტრირებული **ტელეკომპანია „ალტ-ინფო“**. კომუნიკაციების კომისიის ანალიტიკური ვებგვერდის მიხედვით, ტელევიზიის მთავარი დამფინანსებელი მისი მფლობელი ციალა მორგოშიაა. მამიდის სახელზე მორგოშიას შვიდი კომპანია აქვს გაფორმებული, მათ შორის, შპს „ალტ-ინფოც“. თუმცა, ტელეკომპანიის მთავარი დამფინანსებელი კონსტანტინე მორგოშიაა და ეს ფაქტი მან დემოკრატიის კვლევის ინ-სტიტუტთან საუბარშიც დაადასტურა.

ტელეკომპანია „ალტ-ინფოს“ შემოსავალი:

კვარტალი	**შემოსავალი**
2022 წლის 1-ლი კვარტალი	225.927
2022 წლის მე-2 კვარტალი	237.540
2022 წლის მე-3 კვარტალი	287.220
2022 წლის მე-4 კვარტალი	234.220
2023 წლის 1-ლი კვარტალი	208.500
2023 წლის მე-2 კვარტალი	152.400
2023 წლის მე-3 კვარტალი	114.465

2022 წლის განმავლობაში ტელეკომპანია „ალტ-ინფოს“ დაფინანსება 984.887 ლარი იყო. ერთი წლის განმავლობაში მაუწყებლობისთვის გაწეული მომსახურებისთვის 776.971 ლარი დაიხარჯა. მომსახურების ხარჯების გამოკლებით, ტელეკომპანიის ერთი წლის ბიუჯეტი

მხოლოდ 211.916 ლარია, რაც თანამშრომლების ხელფასებისთვისაც კი არაა საკმარისი.[2] 2022 წელს კონსტანტინე მორგოშიამ დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტთან განაცხადა, რომ ტელევიზიაში დაახლოებით 80 კაცია დასაქმებული. რაც შეეხება ხელფასებს, დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტის ინფორმაციით, კომპანიის მძღოლის ხელფასი 1.000 ლარს შეადგენს. თუ ტელევიზიაში მომუშავე თანამშრომლების საშუალო ხელფასი 1.000 ლარია, ერთი წლის ხელფასებში, სულ მცირე, 960.000 ლარი უნდა დახარჯულიყო.

2023 წლის პირველი, მეორე და მესამე კვარტლის მონაცემების მიხედვით,[3] მომსახურებისთვის გაწეული ხარჯი 502.563 ლარია, ხოლო ტელევიზიის შემოსავალი - 475.365 ლარი. ტელევიზიის ბიუჯეტი კი მომსახურების ხარჯების გამოკლებით, მხოლოდ **27.1983** ლარია. თუ ტელევიზიაში მომუშავე თანამშრომლების საშუალო ხელფასი 1.000 ლარია და დასაქმებულთა რაოდენობა 80-ია, 2023 წლის იანვრიდან 2023 წლის სექტემბრის ჩათვლით ტელეკომპანიის თანამშრომლების ხელფასებში, სავარაუდოდ, 720.000 ლარი უნდა დახარჯულიყო.

4.4 ვინ არიან „კონსერვატიული მოძრაობა/ალტ-ინფოს“ ყველაზე მსხვილი და ხშირი შემომწირველები?

„კონსერვატიული მოძრაობა/ალტ-ინფოს“ ყველაზე მსხვილი შემომწირველი კახაბერ ელიზბარაშვილია. მას დაჯგუფებისთვის 42.295 ლარი აქვს შეწირული. მეორე ადგილზეა ზურაბ კობახიძე. მის მიერ შეწირული თანხის ოდენობა 41.693 ლარია. მესამე ადგილს გოგა თუხარელი იკავებს, მეოთხეს - გიგა კობახიძე, მეხუთეს კი - მერაბ გიგანი.

რადიკალური მოძრაობის ყველაზე მსხვილი შემომწირველებიდან უძრავ ქონებას მხოლოდ კახაბერ ელიზბარაშვილი და მერაბ გიგანი ფლობენ. ელიზბარაშვილი შპს „დაბოს“ 50%-იანი წლის მფლობელია. ხოლო მერაბ გიგანის სახელზე ორი კომპანიაა რეგისტრირებული, შპს „ტექნომეტალს“ და შპს „გიგან-007“. გიგანი ასევე არის ძალადობრივი დაჯგუფების რუსთავის რეგიონული ოფისის ხელმძღვანელი.

2022 წლის 16 თებერვლიდან 2023 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, „კონსერვატიულმა მოძრობა/ალტ-ინფომ“ შემოწირულება 560-ჯერ მიიღო. როგორც წესი, „კონსერვატიულ მოძრაობის“ შემომწირველები ერთი და იგივე პირები არიან. ერთჯერადად თანხა მხოლოდ 21 პირს აქვს შეწირული. დანარჩენ 81 შემომწირველს კი, შეწირულობა რამდენჯერმე აქვს განხორციელებული.

1. გიორგი ხატიაშვილმა - „კონსერვატიულ მოძრობა/ალტ-ინფოს“ თანხა ყველაზე მეტჯერ, 17-ჯერ შესწირა. ხატიაშვილი ექსტრემისტული მოძრაობის წნორის რეგიონული ოფისის ხელმძღვანელია. შეწირულმა თანხამ 10.625 ლარი შეადგინა.
2. კახაბერ ელიზბარაშვილმა დაჯგუფებას თექვსმეტჯერ, ჯამურად 42.295 ლარი შესწირა.
3. გოჩა ხუციძეს „კონსერვატიულ მოძრობა/ალტ-ინფოსთვის“ თანხა თოთხმეტჯერ, ჯამურად 7.750 ლარი აქვს გადარიცხული.
4. გიორგი რატიანმა, რომელიც ექსტრემისტული მოძრაობის მესტიის ოფისის ხელმძღვანელია, ცამეტი შემოწირულება განახორციელა. შეწირული თანხის რაოდენობა 5.900 ლარია.
5. რომან გოგიბერიძესაც ცამეტჯერ, ერთიანად 4.040 ლარი აქვს შეწირული რადიკალური მოძრაობისთვის.

აქტიური შემომწირველებისგან უძრავ ქონებას მხოლოდ სამი პირი ფლობს, კახაბერ ელიზბარაშვილი, გოჩა ხუციძე და რომან გოგიბერიძე.

---

[2] მაუწყებლობისთვის გაწეულ მომსახურებებში იგულისხმება ინტერნეტის, სხვა ადმინისტრაციული ხარჯების, იჯარის, აუდიტის, კომუნალური, ციფრული მიწისზედა მულტიპლექსის, დაცვის სამსახურის ხარჯები.

[3] 2023 წლის იანვრიდან სექტემბრის ჩათვლით.

4.5. „კონსერვატიული მოძრაობა/ალტ-ინფოს“ რეგიონული აქტივობები

„კონსერვატიულმა მოძრაობა/ალტ-ინფომ“ რეგიონებში აქტიურობა 2022 წლის იანვარში დაიწყო და მცირე დროში საქართველოს მასშტაბით 64 ოფისი გახსნა. მოგვიანებით, 2022 წლის აგვისტოში გავრცელდა ინფორმაცია,[4] რომ 10-მდე რეგიონული ოფისი დაიხურა. დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი დაინტერესდა, დღეის მდგომარეობით, რამდენი რეგიონული ოფისი ფუნქციონირებს. როგორც კონსტანტინე მორგოშია ამბობს, დაახლოებით 5 ოფისია დახურული და რამდენიმემ უბრალოდ ლოკაცია შეიცვალა. მორგოშიას სიტყვებს თუ დავეყრდნობით, რეგიონული ოფისების რიცხვი დაახლოებით 59-ია.

2023 წლის 18 სექტემბრის სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ოფიციალური **განცხადების** შემდეგ, ზურაბ მახარაძემ, გიორგი ქარდავამ, ირაკლი და შოთა მარტინენკოებმა მოძრაობა „ანტიმაიდნის“ შექმნის მიზნით თანამოაზრეთა მობილიზაცია გამოაცხადეს.

რეგიონული ვიზიტები „კონსერვატიული მოძრაობა/ალტ-ინფოს“ ლიდერებმა 2023 წლის პირველ ოქტომბერს დაიწყეს. დაჯგუფებამ შეხვედრები შვიდ ქალაქში - თელავში, გორში, ქუთაისში, რუსთავში, მცხეთაში, ბათუმსა და ზუგდიდში გამართა.

თელავში შეხვედრა 2023 წლის პირველ ოქტომბერს, თელავის ვაჟა ფშაველას სახელობის სახელმწიფო პროფესიულ დრამატულ თეატრში ჩატარდა. **თეატრი საჯარო სამართლის იურიდიული პირია და სახელმწიფოსგან ფინანსდება**. თეატრის ხელმძღვანელი პაატა გულიაშვილი მოცემულ პოსტს 2012 წლიდან იკავებს. მას 2019 წლიდან დღემდე სახელმწიფოსგან გამარტივებული შესყიდვებით **77,309** ლარი აქვს მიღებული. 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში პაატა გულიაშვილი „ქართული ოცნების“ მხარდაჭერილი კანდიდატის სალომე ზურაბიშვილის საარჩევნო კამპანიის ფარგლებში ჩატარებულ ღონისძიებებში იღებდა მონაწილეობას.

თელავში ჩატარებულ შეხვედრაზე ღიად პრორუსული ძალის წარმომადგენლებმა „ანტიმაიდნის“ მნიშვნელობაზე და 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებზე ისაუბრეს. შოთა მარტინენკომ დაადასტურა, რომ პრორუსული დაჯგუფება 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობისთვის ემზადება.

„ახლა უშუალოდ გვიდგას ორი ამოცანა. ერთი არის „ანტიმაიდნისთვის“ ეფექტური ორგანიზება და მეორე, მომავალი წლისთვის იგეგმება არჩევნები. ის ღონისძიებები, რომლებიც ახლა გატარდება, ძალიან მნიშვნელოვანი საფუძველი იქნება იმ ერთობის შესაკრავად, რომელიც მომავალ წელს არჩევნებში ძალიან მნიშვნელოვანი შედეგის დადებაში დაგვეხმარება.“

2023 წლის 1-ლი ოქტომბრიდან ყოველკვირეული რეგიონული შეხვედრები ბადებს კითხვას - ხომ არ არის რადიკალური მოძრაობის შემოსავალი ბევრად უფრო მაღალი, ვიდრე ეს ღია წყაროებში ჩანს? მაგალითად, პირველი შეხვედრისთვის „კონსერვატიულმა მოძრაობა/ალტ-ინფომ“ თელავის ვაჟა-ფშაველას სახელობის სახელმწიფო პროფესიული დრამატული თეატრის ერთ-ერთი დარბაზი აიღო იჯარით. თელავის ვაჟა-ფშაველას სახელობის სახელმწიფო პროფესიული დრამატული თეატრიდან მიღებული დოკუმენტაციიდან ირკვევა, რომ დარბაზის ქირა 2.200 ლარი დაჯდა. 2023 წლის 22 ოქტომბერს შეხვედრა მცხეთაში სასტუმრო „ჯინო ველნესში“ ჩატარდა. სასტუმროს მენეჯერის განცხადებით, საკონფერენციო დარბაზის ქირის ღირებულება 700 ლარია.

---

[4] radiotavisupleba.ge, „კონსერვატიული მოძრაობა" 10-მდე ოფისს ხურავს - აქვს თუ არა „ალტ-ინფოს“ ფინანსური პრობლემა?”, 10 აგვისტო 2022 წელი, ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/31982341.html

ძირითადი მიგნებები

- საქართველოში ულტრამემარჯვენე ჯგუფების რიტორიკაში ძლიერია ჰომოფობიური განწყობები, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია რელიგიურ-ეროვნულ სენტიმენტებზე აპელირებასთან.

- შემაშფოთებელი ტენდენციაა ულტრამემარჯვენე ჯგუფებისა და საქართველოს ხელისუფლების ოფიციალური პოზიციების თანხვედრა ჰომოფობიის ინსტრუმენტალიზაციის კუთხით. აღნიშნული ტენდენცია ახალისებს ძალადობრივ პრაქტიკებს მოწყვლადი ჯგუფების წინააღმდეგ და აღვივებს საზოგადოების პოლარიზაციას.

- ონლაინ მედიაში ულტრამემარჯვენე ჯგუფები ხშირად ავრცელებენ დეზინფორმაციას და საზოგადოებრივ აზრზე ზემოქმედების მიზნით, პროკრემლისტურ მეთოდებზე დაყრდნობით ქმნიან ყალბ მედია კონტენტს.

- სოციალურ და ონლაინ მედიაში მიმდინარე ულტრამემარჯვენე დისკურსი ხასიათდება ანტიამერიკული განწყობებით და მკვეთრად პრორუსული გზავნილებით.

- ულტრამემარჯვენე ჯგუფების დისკურში აქტუალობას ინარჩუნებს ანტიდასავლური გზავნილები, რომელიც ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური მოვლენების ფონზე განიცდის ტრანსფორმაციას. მიმდინარე დისკურსში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო საქართველოსთვის ევროკავშირის წევრი ქვეყნის კანდიდატის სტატუსის მინიჭების საკითხი.

- ულტრამემარჯვენე ჯგუფები მხარდამჭერთა მობილიზაციისა და საპროტესტო აქციების ორგანიზების მიზნით, აქტიურად იყენებენ სოციალურ ქსელებს. ამ ეტაპზე, მათი საქმიანობის ძირითადი არეალი სწორედ ონლაინ პლატფორმებია.

რეკომენდაციები

- მნიშვნელოვანია ხელისუფლების მხრიდან შეწყდეს ჰომოფობიის პოლიტიკური ინსტრუმენტალიზაცია და ძალადობრივი ჯგუფების ირიბი თუ პირდაპირი მხარდაჭერა.

- ხელისუფლების პასიურობის ფონზე, სამოქალაქო სექტორმა აქტიურ რეჟიმში მიაწოდოს საზოგადოებას ინფორმაცია ულტრამემარჯვენე ჯგუფების ძალადობრივი დღის წესრიგიდან მომავალი საფრთხეების შესახებ.

- კვლევითმა ორგანიზაციებმა უზრუნველყონ იმ ძირითადი მიზეზების შესწავლა, რაც ასაზრდოებს ექსტრემისტულ დაჯგუფებებს.

- მნიშვნელოვანია, სამთავრობო სტრუქტურების მხრიდან შემუშავდეს ეფექტური სამოქმედო გეგმა იმ დეზინფორმაციისა და სიძულვილის ენის ტირაჟირების წინააღმდეგ, რასაც ულტრამემარჯვენე ჯგუფები აწარმოებენ სოციალური ქსელებისა და მედიის საშუალებით.

- ხელისუფლებამ განსაკუთრებული ყურადღება უნდა გაამახვილოს მტრულ სახელმწიფოსთან თანამშრომლობის გაცხადებული მიზნის მქონე პოლიტიკური დაჯგუფების ფინანსების წარმომავლობასა და გამჭვირვალობაზე.

დანართი #1.
საქართველოში არსებული ულტრამემარჯვენე აქტორების ანოტაციები

„საქართველოს ეროვნული ერთობა“

იდეოლოგია:	ფაშიზმი, ინტეგრალური ნაციონალიზმი[5]
სიმბოლო:	ვერმახტის ქართული ბატალიონის[6] სამკლავე დროშა და ჯვარი
ლოზუნგი:	„დიდება ერს! გამარჯვებას დიდება!“
ლიდერი:	გიორგი ჭელიძე
დაფუძნების თარიღი:	2016 წლის 2 ნოემბერი
ოფიციალური არხები:	https://www.youtube.com/@GeoNationalUnity https://t.me/GeoNatUnity https://www.tiktok.com/@geo.national.unity

თავდაპირველად, „საქართველოს ეროვნული ერთობა“ საჯარო რეესტრში 2016 წლის 2 ნოემბერს დარეგისტრირდა.[7] საწყის ეტაპზე მას თორნიკე კივილაძე ხელმძღვანელობდა, თუმცა საჯაროდ ხელმისაწვდომი წყაროების თანახმად, 2018 წელს კივილაძემ ორგანიზაცია იდეოლოგიური შეუთავსებლობის ნიადაგზე დატოვა, ლიდერობა კი გიორგი ჭელიძემ გადაიბარა. წესდების თანახმად, გაერთიანების უმთავრეს მიზანს *„ქართველი ერის და ქართული სახელმწიფოს დემოგრაფიული, ტერიტორიული მთლიანობის, კოგნიტიური, სულიერი, კულტურული, ეკონომიკური, ეკოლოგიური, სამხედრო, სამართლებრივი დაცვა“* წარმოადგენს. წესდებით განსაზღვრულია ორგანიზაციის მმართველობითი სტრუქტურაც. კერძოდ, ორგანიზაციას ხელმძღვანელობს „მეთაური“, რომლის ფუნქცია-მოვალეობებში გაწერილია, რომ ის ხელმძღვანელობს დარგობრივ ჯგუფებს, ადგილობრივ შენაერთებს და მათ წინამძღოლებს; ხოლო მმართველობით ორგანოს წარმოადგენს სამეთაურო დარბაზი.

გიორგი ჭელიძის მიერ „საქართველოს ეროვნული ერთობის“ პოლიტიკურ პარტიად ტრანსფორმაციის დაანონსების შემდეგ, გავრცელდა ორგანიზაციის 14 პუნქტიანი სამოქმედო გეგმა „გადარჩენიდან-აღორძინებამდე“, რომელშიც ორგანიზაციის ამოცანად მითითებულია 1991 წ. 31 მარტის რეფერენდუმის გადაწყვეტილების აღსრულება, ქართველი ერის ფიზიკური და კულტურული გენოციდის აღკვეთა და მიწისა და ხელისუფლების ერისთვის გადაცემა. ამ მიზნის განსახორციელებლად „საქართველოს ეროვნულ ერთობას“ სამი ძირითადი პროგრამა აქვს

[5] ინტეგრალური ნაციონალიზმი - ხასიათდება არალიბერალური მიდგომებით. ერს წარმოაჩენს ორგანულ მთლიანობად და მოითხოვს პიროვნების სრულ მორჩილებას ეროვნული ინტერესებისადმი.
[6] ვერმახტის ქართული ბატალიონი - ქართული სამხედრო ფორმირება, რომელიც მესამე რაიხის მხარეს იბრძოდა მეორე მსოფლიო ომის დროს.
[7] საჯარო რეესტრის ამონაწერი.

შემუშავებული: 1) სასოფლო-სამეურნეო; 2) სამხედრო-სამრეწველო; 3) დემოგრაფიულ-კულ-ტურული.

სასოფლო-სამეურნეო პროგრამით, „საქართველოს ეროვნული ერთობა“ ქართული მიწებისა და ბუნებრივი რესურსების ქართველი ერის ეროვნულ საკუთრებად გამოცხადებას აპირებს, რაც უცხოელებისთვის მიწის ან ბუნებრივი რესურსების საკუთრებაში ქონის კონსტიტუციით გათვალისწინებული აკრძალვით იქნება უზრუნველყოფილი. სამხედრო-სამრეწველო პროგ-რამის ძირითადი მიმართულება ითვალისწინებს მაღალტექნოლოგიური სამხედრო მრეწველ-ობის განვითარებას და საგანმანათლებლო სივრცეებში ახალგაზრდების გადამზადებას სამ-ხედრო და ფიზიკური წვრთნების საშუალებით. დემოგრაფიულ-კულტურული პროგრამის ძირი-თად პრიორიტეტად კი ორგანიზაცია ქართული მსოფლმხედველობისა და გენოფონდის გაძლიერებას ასახელებს. ღიად ნეოფაშისტური ორგანიზაციის სამოქმედო გეგმაში მნიშვნელ-ოვანი აქცენტი კეთდება სამხედრო მიმართულებაზე, რომელიც მოიაზრებს თავდაცვის ტო-ტალური სამობილიზაციო სისტემის შექმნას და სამხედრო სავალდებულო სამსახურის გავლას საქართველოს ყველა მოქალაქისთვის, განურჩევლად სქესისა.

„საქართველოს ეროვნული ერთობის“ წევრები სოციალურ ქსელებში ხშირად პოზიციონირებენ ნაცისტური სიმბოლოებით და ფაშისტურ/ნაცისტური იდეოლოგიის ლიდერებს ადოლფ ჰიტლერს და ბენიტო მუსოლინის ციტირებენ.



წყარო: „ეროვნული ერთობის“ იუთუბ არხი *წყარო: „ეროვნული ერთობის“ ტელეგრამ არხი*

ღიად ნეოფაშისტური „საქართველოს ეროვნული ერთობის“ წარსული გამოცდილება უკავ-შირდება ისეთ ძალადობრივ აქტივობას, როგორიც იყო 2018 წლის 13 მაისს ნარკოპოლიტიკის შეცვლის მოთხოვნით გამართული აქციის საპასუხო დემონსტრაცია. ჭელიძის შეფასებით, აღნიშნული კონტრაქცია „ნარკოტიკების მოხმარების“ და „გეი პროპაგანდის“ წინააღმდეგ იყო მიმართული. მან აღნიშნულ კონტრაქციაზე თანამოაზრეებს სამოქალაქო გვარდიის ჩამოყალ-იბებისკენ მოუწოდა და აღნიშნა, რომ საჭიროების შემთხვევაში, თავადვე უზრუნველყოფდა საზოგადოების უსაფრთხოების დაცვას.

ამ ეტაპზე, ნეოფაშისტური ორგანიზაცია „საქართველოს ეროვნული ერთობა“ ანტიიმიგ-რაციული მიმართულებით აქტიურობს. მათი უკმაყოფილება საქართველოს მოქალაქეობის მიღების გამარტივებასთან დაკავშირებით მთავრობის ინიციატივამ გამოიწვია.



წყარო: „ეროვნული ერთობის“ ტელეგრამ არხი

„საქართველოს ეროვნული ერთობა“ მხარდაჭერების მობილიზაციას აქტიურად ახდენს სხვა-დასხვა სოციალური ქსელებისა და არხების გამოყენებით. კერძოდ, პოზიციონირებს ფეისბუქის, ტელეგრამის, ტიკტოკისა და იუთუბის საშუალებით. ამჟამინდელი მონაცემებით, „საქართველოს ეროვნულ ერთობას“ იუთუბ არხზე 3 500, ტიკტოკზე – 116, ხოლო ტელეგრამ ჯგუფში 1 213 გამომწერი ჰყავს. ამ არხების საშუალებით ორგანიზაცია აქტიურად ავრცელებს ინფორმაციას საკუთარი სამოქმედო გეგმის, საპროტესტო აქციებისა და იდეოლოგიური ნარატივების შესახებ.

„საქართველოს ეროვნული ერთობის“ არხები სოციალურ ქსელებსა და პლატფორმებზე

Telegram	„არიან ქორთუ“	1 213 გამომწერი
YouTube	„Geo National Unity“	3 500 გამომწერი
TikTok	„Georgian National Squad“	116 გამომწერი
Facebook ჯგუფი	ეროვნულ – სოციალისტური მოძრაობა „საქართველოს ეროვნული ერთობა“	404 წევრი

„ქართული იდეა“

იდეოლოგია:	ეთნოცენტრიზმი[8]
პოლიტიკური საარჩევნო ნომერი:	N44
სიმბოლო:	ლოგოს აქვს ფარის ფორმა, რომლის წრეზეც ათი გვირგვინა ქანჩია გამოსახული და აღბეჭდილია ქართული დამწერლობის სამი ისტორიული ანბანის ერთიანობა.
ლოზუნგი:	რწმენით და სიყვარულით, ღირსეული მომავლისთვის
ლიდერი:	ლევან ჩაჩუა
დაფუძნების თარიღი:	2014 წლის 16 დეკემბერი
ოფიციალური არხი:	https://www.facebook.com/qartuliideaa

საჯარო რეესტრის ოფიციალური მონაცემებით, ლევან ჩაჩუამ საზოგადოებრივი მოძრაობა „ქართული იდეა“ 2014 წლის 21 თებერვალს არასამეწარმეო იურიდიულ პირად დაარეგისტრირა. მისივე განცხადების საფუძველზე, 2014 წლის 31 მარტს საჯარო რეესტრმა საზოგადოებრივი მოძრაობა ლიკვიდირებულად გამოაცხადა, ხოლო 16 დეკემბერს „ქართული იდეა“ დარეგისტრირდა, როგორც პოლიტიკური პარტია. ინფორმაცია პოლიტიკური სუბიექტის დაარსების შესახებ ლევან ჩაჩუამ საზოგადოებას „რიანოვოსტის“ თბილისის პრესცენტრში გამართულ პრესკონფერენციაზე აუწყა.

ინფორმაცია სუბიექტზე	
საიდენტიფიკაციო კოდი	405031371
პირადი ნომერი	
სახელმწიფო რეგისტრაციის ნომერი	
დასახელება	საზოგადოებრივი მოძრაობა ქართული იდეა
სამართლებრივი ფორმა	არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი
რეგისტრაციის თარიღი	21 თებერვალი 2014
სტატუსი	ლიკვიდირებულია

[8] იდეოლოგია, რომელიც ეფუძნება საკუთარი ერისა და კულტურული ფასეულობების გაზვიადებას, ხოლო სხვა ეთნოსებისადმი გამოირჩევა მკვეთრად ნეგატიური და ტენდენციური მსჯელობით. საკუთარ ეროვნულ ფასეულობებს აღიქვამს რა როგორც ეტალონს, აქვს წინასწარ ჩამოყალიბებული აზრი იმის შესახებ, თუ რა არის სწორი, მისაღები, მორალური და ჯანმრთელი.

პარტია „ქართული იდეა“ 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებში[9] 18 ნომრით მონაწილეობდა და 2 019 ხმა (0.17%) მიიღო. ცესკოსთვის მიწოდებულ სიაში „ქართული იდეის“ მეორე ნომრად წარდგენილი იყო „ქართული მარშის“ ლიდერი სანდრო ბრეგაძე. 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის, შემოწირულების სახით, პარტიამ 14 459 ლარი მიიღო. პარტია „ქართულმა იდეამ“ 2020 წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებშიც მიიღო მონაწილეობა, ნომრით 44. პარტიის პირველ ნომრად წარდგენილი იყო ლევან ჩაჩუა, ხოლო მეორე ნომრად „ბავშვთა უფლებების დაცვის საზოგადოების“ თავმჯდომარე, ჰომოფობიური გამოსვლებით ცნობილი გურამ ფალავანდიშვილი. არჩევნებზე პარტიამ 8,263 ხმა მიიღო.

„ქართული იდეის“ ლიდერები გამოირჩევიან ჰომოფობიური და ქსენოფობიური რიტორიკით. ხშირად აპელირებენ ეროვნული იდენტობის დაცვის საკითხებითა და რელიგიური სენ-ტიმენტებით. 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის პარტიის ლიდერმა ლევან ჩაჩუამ „კონსერვატიულ ფლანგს“ ერთობისკენ მოუწოდა და გამოვიდა ინიციატივით, შეიქმნას „ეროვნულ-ეკლესიური ერთობა“, რომელში გაწევრიანებაც მოხდება არა პარტიული, არამედ პიროვნული მახასიათებლებიდან გამომდინარე. ლევან ჩაჩუას აზრით, აღნიშნულ ერთობას კურთხევა და პოლიტიკური ლეგიტიმაცია საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ უნდა მიანიჭოს.[10]

პარტია „ქართული იდეის“ პოლიტიკურ პრიორიტეტად განსაზღვრულია ეროვნული ეკონომიკ-ური მიმართულების ჩამოყალიბება, რაც სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე ობიექტებისა და სასარგებლო წიაღისეულის ნაციონალიზაციას მოიაზრებს. პარტია ემხრობა მკაცრი საიმიგრაციო პოლიტიკის შემუშავებას და ამ მიმართულებით, მიგრანტების შემოსახლებაზე, მოქალაქეობისა და ბინადრობის მიღებაზე მკაცრი კონტროლის დაწესებას. „ქართული იდეის“ წარმომადგენლები მუდმივად უსვამენ ხაზს საგანმანათლებლო პროცესში ეკლესიის ჩარ-თულობის მნიშვნელობას და აღნიშნავენ, რომ განათლების სისტემის ხარისხის გაუმჯობესება უნდა მოხდეს ეკლესიის დახმარებით.

„ქართული იდეის“ ლიდერები ღიად უჭერენ მხარს 2021 წლის 5 ივლისს ძალადობრივი აქციის მონაწილეებს და აღნიშნულ საკითხზე დაპატიმრებულ ადამიანებს „სინდისის პატიმრებად“ მოიხსენიებენ. „ქართული იდეა“ შეუერთდა „ალტ-ინფოს“ მიერ ორგანიზებულ საპროტესტო აქციებსაც, რომლის მთავარი მოთხოვნა 2021 წლის 5 ივლისის საქმეზე დაპატიმრებული ადამიანების განთავისუფლება იყო.

[9] ivote.ge, საპარლამენტო არჩევნები 2016.
[10] ქართული იდეას ფეისბუქ გვერდი.

„კონსერვატიული მოძრაობა/ალტ-ინფო“

იდეოლოგია:	ულტრამემარჯვენე ნაციონალ-კონსერვატიზმი[11]
სიმბოლო:	
პარტიის თავმჯდომარე:	გიორგი ქარდავა
გენერალური მდივანი:	შოთა მარტინენკო
დაფუძნების თარიღი:	2021 წლის 7 დეკემბერი
ოფიციალური არხი:	https://conservativemovement.ge/

„კონსერვატიული მოძრაობა/ალტ-ინფო“ ულტრამემარჯვენე და ღიად პრორუსული „ალტ-ინფოს“ პოლიტიკური წარმონაქმნია. პარტიის პოლიტიკური საბჭოს შემადგენლობაში არიან ირაკლი მარტინენკო, ირაკლი მორგოშია, გიორგი ქარდავა და ვასილ გვალია. „კონსერ-ვატიული მოძრაობა/ალტ-ინფოს“ ლიდერები 2021 წლის 5 ივლისის მასობრივი ძალადობის ორგანიზატორები არიან, თუმცა მათი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ამ დრომდე არ დამდგარა. საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, „კონსერვატიული მოძრაობა“ 2021 წლის 7 დეკემბერს დარეგისტრირდა. თავდაპირველად, პარტიის თავმჯდომარე ზურა მახარაძე იყო, გენერალური მდივანი კი - გიორგი ქარდავა. ორივე „ალტ-ინფოს“ სახეა. მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების რეესტრში 2022 წლის აპრილში ასახული ცვლილებებით, პარტიის სახელწოდებად განისაზღვრა „კონსერვატიული მოძრაობა/ალტ-ინფო“, პარტიის თავმჯდომარედ - გიორგი ქარდავა, გენერალურ მდივნად კი - შოთა მარტინენკო. პარტიის ერთ-ერთი დამფუძნებელი კონსტანტინე (კოკა) მორგოშიაა.

პარტიულ ყრილობაზე ლიდერებმა განაცხადეს, რომ მათი მთავარი პრიორიტეტი ქვეყნის უსაფრთხოება, ტერიტორიული მთლიანობა, „უკიდურესი სიდუხჭირის“ აღმოფხვრა და დემოგ-რაფიული მდგომარეობის გაუმჯობესება იქნება. დასახული მიზნების განხორციელების გზას კი კრემლთან თანამშრომლობაში ხედავენ და აღნიშნავენ, რომ სწორედ რუსეთში წყდება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საკითხი.

„კონსერვატიული მოძრაობა/ალტ ინფო“ გამოირჩევა მკვეთრად ჰომოფობიური დისკურსით. სწორედ აღნიშნული დაჯგუფების ლიდერთა მხრიდან დაორგანიზდა თბილისი პრაიდის მიერ დაგეგმილი ფესტივალის წინააღმდეგ მასშტაბური ძალადობრივი აქციები 2021 წლის 5 ივლისსა და 2023 წლის 8 ივლისს.

[11] ქოლგა ტერმინი, რომელიც აერთიანებს რადიკალურ, ულტრანაციონალისტურ და ექსტრემისტულ იდეოლოგიებს. მოქმედების ინსტრუმენტად კი იყენებს ქსენოფობიას, ჰომოფობიას და მიზოგინიას.